პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

1980 | 23 მაისი, პარასკევი
№ 21 (2198)
გამოცემის 48-ე წელი

## საქართველოს კომკავშირი 60 წლისაა!



ქართველი მწერლები სიყვარულით ულოცავენ ჩვენს ახალგაზრდობას ამ დიდ საზეიმო თარიღს.

გაუმარჯოს საქართველოს კომკავშირს!

## სიჭაბუკე და სილამაზე

რა როლი ითამაშა კომკავშირმა ჩემს ცხოვრებაში? — ჩემთვის ეს კითხვა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ჩემი ცხოვრება კომკავშირის გარეშე ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა. ძალიან კარგად მახსოვს, როგორ მიმიღეს კომკავშირის რიგებში... მაშინ ჩემი სოფლის, კარდანახის შვიდწლიან სკოლაში ვსწავლობდი, მთელი ღამე სიხარულისგან არ მიძინია, ის დღე ჩემთვის დაუვიწყარია.

მე რევოლუციონერის ოჯახში ვიზრდებოდი და ბავშვობიდანვე კარგად ვიცოდი კომკავშირის როლი და მნიშვნელობა საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

შემდეგ სწავლა განვაგრძე თბილისის მე-18 საშუალო სკოლის (ამჟამად გალაკტიონ ტაბიძის სახელობის 51-ე საშუალო სკოლა) VIII კლასში. ამ სკოლაში სწავლისას კომკავშირის კომიტეტის მდივნადაც ვიყავი არჩეული და აქტიურად ვმონაწილეობდი კომკავშირულ მუშაობაში.

შემდეგ სტუდენტური წლები, სამამულო ომი... მახსენდება, როცა 1943 წელს, ქართულ მსროლელთა დივიზიაში კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატად მიმიღეს და პარტიული ბილეთი გადმომცეს, ვითხოვე ჩემთვის კომკავშირის ბილეთიც დაეტოვებინათ.

დღესაც ვინახავ ამ ბილეთს, როგორც სიჭაბუკის წლების ძვირფას რელიკვიას...

ცამეტი წლის მანძილზე ვრედაქტორობდი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს, საყმაწვილო ჟურნალ „დილას". ოც წელზე მეტი ხნის მანძილზე ვიყავი ცენტრალური კომიტეტის წევრი. ვმონაწილეობდი საქართველოს კომკავშირის მრავალი ყრილობის მუშაობაში, ვიყავი საკავშირო კომკავშირის XI ყრილობის მონაწილე.

თუ იმასაც მკითხავთ, რა როლი ითამაშა კომკავშირმა ჩემს შემოქმედებაში, გავიხსენებ ჩემს პოემას „ამბავი ერთი ქალიშვილისა". აგრეთვე, ბალადას „ზოია კოსმოდემიანსკაიაზე", ლექსების წიგნს პირველ ქართველ ყამირელებზე და ასე შემდეგ.

ახლაც ვწერ პოემას იტალიის მთებში დაღუპულ კომკავშირელ პარტიზანზე გიორგი ვარაზაშვილზე...

აი, რას ნიშნავს ჩემთვის კომკავშირი.

აი, რად ვულოცავ ასე გულმხურვალედ ჩემი რესპუბლიკის კომკავშირს დაბადების 60 წლისთავს.

კომკავშირი ჩემთვის იყო და არის სიჭაბუკე, სილამაზე, ოცნება მომავალზე.

**იოსებ ნონეშვილი**

## მომავლის რწმენა და იმედი

საქართველოს კომკავშირს 60 წლისთავს ვულოცავთ!

საქართველოს სიჭაბუკე — ახალგაზრდული შემართება, მჩქეფარე ენერგია, ნიჭი, ცოდნა და ძალა თავის დღესასწაულს ზეიმობს.

და როგორც ჭეშმარიტ ზეიმს შეჰფერის, გონების თვალს ვავლებთ წარსულს, ისტორიის გაუხუნარ ფურცლებს.

ვიხსენებთ ბორის ძნელაძეს — საქართველოს კომკავშირის პირველ წინამძღოლს და ფუძემდებელს.

ვიხსენებთ ჩვენი ჭაბუკებისა და ქალიშვილების შემართებას ოციან წლებში, რწმენით აღსავსე, შეურიგებელ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების, ოქტომბრის მონაპოვარის დაცვისათვის.

ვიხსენებთ პირველ ხუთწლედებს, ახალგაზრდებს, რომლებიც ჩვენს ქალაქებს აშენებდნენ, გზები და რკინიგზები გაჰყავდათ, სინათლე შეჰქონდათ მთებში, სკოლებში ატარებდნენ გაკვეთილებს, იკვლევდნენ სამყაროს საიდუმლოებებს, წერდნენ ახალ პოეტურ სტრიქონებს ახალი ცხოვრების რომანტიკაზე, ახალ ადამიანზე, მომავლის ნათელ დღეებზე.

ვიხსენებთ დიდი სამამულო ომის წლებს.

ვიხსენებთ კი არა, მთელი გულით განვიცდით — ჩვენ ხომ სწორედ იმ დროის შვილები ვართ (ჩემს თაობას ვგულისხმობ), ომისდროინდელი მკაცრი წლების შვილები... ჩვენ ხომ იმ წლებმა გამოგვაწრთო და გამოგვცადა, ჩვენი ფოლადი ხომ ომის გზებზე გადიოდა, გამარჯვების დღეებს ჭედდა.

მეც მივუძღვენი სტრიქონები იმ მკაცრ წლებს.

ჩემი „ირინოლა" ომისდროინდელი თაობის პატრიოტიზმს, პათოსს გამოხატავს.

რა ვუსურვო დღევანდელ ახალგაზრდა თაობას?

ქვეყნისა და მამულის სიყვარული.

შრომის სიყვარული,

წიგნის სიყვარული,

ცოდნის წყურვილი... არა ზედაპირული, ყურმოკრული ცოდნისა, არამედ საფუძვლიანი, მეცნიერების მიღწევებზე დამყარებული ცოდნისა.

მე მინდა ახალგაზრდა თაობას შევახსენო სიტყვები ერთი ჭაბუკი მწერლისა, რომელიც ამ ქვეყნიდან სრულიად ახალგაზრდა წავიდა... სიტყვები გურამ რჩეულიშვილისა: „ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში"...

შენების ვნება, შენებისა და ახლის შექმნის სიმძაფრე ნუ მოკლებოდეს ჩვენს ახალგაზრდობას...

დაბოლოს, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის ურთიერთ მეგობრობა, რაც იმთავითვე მოხდგამს ქართულ მწერლობას და კომკავშირს.

პირველი ქართველი საბჭოთა პოეტები სრულიად ახალგაზრდები, კომკავშირელები იყვნენ.

ორმოციან წლებში კომკავშირული გაზეთი უურიდა თავს მეტად ნიჭიერ ლიტერატურულ თაობას, „ჩვენი თაობა" ერქვა მათს ჟურნალსაც, „ცისკრის" წინამორბედ ჟურნალს.

კომკავშირის ზრუნვით და დაუინებული სურვილით დაარსდა ახალგაზრდული „ცისკარიც".

დაწესდა საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემია საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებისათვის.

მეც მხვდა წილად პატივი — ვიყო ამ პრემიის ერთ-ერთი პირველი ლაურეატი. მადლობა საქართველოს კომკავშირს...

რწმენით მინდა დავასრულო ეს პატარა მილოცვაც...

ჭეშმარიტად ურყევ რწმენას ვუსურვებ ჩვენს ახალგაზრდა კომკავშირულ თაობას, რწმენას — კომუნისტური იდეალებისა, რწმენას აწმყოსი და მომავლისა, რწმენას ადამიანური სიკეთისა, რწმენას დედამიწაზე მშვიდობისა.

**ჯანსუღ ჩარკვიანი,**
საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი.



## მარად ცოცხალი

**გრიგოლ აბაშიძე**

დღეს ქართველი ხალხი საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის დაბადების 80 წლისთავს ზეიმობს.

ჩვენს აღტაცებას ლეონიძის შემოქმედებითა და პიროვნებით ხმას უერთებს ჩვენი დიდი ქვეყნის ყველა კუთხიდან საქართველოს ყველა მეგობარი და ჭეშმარიტი პოეზიის ყველა მოყვარული.

გიორგი ლეონიძის სახელთან დაკავშირებულია ქართული პოეზიის არაერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება, მრავალეროვანი საბჭოთა პოეზიის არაერთი სასიქადულო წარმატება.

ხალხთა ძმობისა და მეგობრობის დაუღალავი მომღერალი გიორგი ლეონიძე უაღრესად ეროვნული პოეტი იყო. მის ლექსებში საქართველოს მთებისა და ხეობების გუგუნი გაისმოდა და მისი სტრიქონების დენა მთის ადიდებული მდინარის მოვარდნას ჰგავდა, გრგვინვითა და ზათქით რომ მოანგრევს კალაპოტს!

გულწრფელი პატრიოტიზმი და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული მას თანდაყოლილად ჰქონდა შესისხლხორცებული. იგი ახალი, საბჭოთა საქართველოს ფხიზელ-ნიერი მეკვლე და მეხოტბე იყო და ეს სულაც ხელს არ უშლიდა ქართლის ცხოვრების გულდაკოდილი მემატიანე ყოფილიყო.

მის ლექსებში დიდებულად ჟღერს ახალი, რევოლუციური საქართველოს გამარჯვების ჰიმნი. ჩვენი დღეების სიხარულით აჟღერებულ მის პოეტურ შედევრებს ორგანულად ერწყმის დრამატიზმით სავსე სტრიქონები, რომლებშიც შორეულ ექოდ მოგვესმის მონგოლთა ურდოების ჟღრიალი, ყიზილბაშთა მერნების ნალების წკრიალი და ხაზართა შუბების ლაწალუწი.

ლეონიძის პოეზიაში ერთად ცხოვრობდა ცივილიზაციის დღევანდელ მიღწევებს ნაზიარები მოქალაქე და ქვეყნის პირველყოფილ სილამაზით გაოცებული წარმართი. აი როგორი მსუყე ფერებით ხატავდა იგი იმ პირველყოფილ გარემოს:

მოდი, მომხვიე ხელი
ჭრილობას,
ვეღარა გხედავ, სისხლით
ვიცლები...
როგორც საძროხე ქვაბს
ოხშივარი
ქართლის ხეობებს ადის
ნისლები.

გ. ლეონიძის ლალსა და გულიდან უშუალოდ ამომდინარ პოეზიას დიდი დიაპაზონი აქვს, ვაჟკაცურად მოუზომავ ძლიერ მოქნევას მის ლექსებში ნიავის უნაზესი ქროლვა ენაცვლება.

„ვარ ბარბაროსი, ვარ ხაზარი, ვარ სარაცინი!" — ჰქუხს პოეტი და ყალყზე შემდგარი სტრიქონების გვერდით მისი ლირიკა ასეთ პოეტურ სასწაულებს გვთავაზობს.

ვიცი, მაიკო ორბელიანი
მარაოს ნიავზე გაცივდა...

ან:

შენს სილამაზის იქით
ბნელდება,
დაიხურება ცისკრის კარედი;
შენ მოგაყარეს მიწა ბელტებად
მკერდზე რომ ვარდსაც არ
იკარებდი.

გ. ლეონიძის პოეზიის ეროვნულობა საქართველოს ისტორიის მძაფრ განცდასა და ხალხურ ძირებზეა ამოზრდილი.

ვაჟა-ფშაველას შემდეგ ქართველ პოეტთაგან მასავით ახლო არავინ ყოფილა ხალხური პოეზიის სათავესთან და არავის მისებრ ძალუმად არ გაუდგამს ფესვი მშობლიური მიწის სიღრმეებში:

მშობელ მიწაში მიდგას
ფესვები,
როგორც წყალში დგას წნორის
ძირები.
სიცოცხლეს ვერვის
დავესესხები
თუ სამშობლოსგან გავიწირები.

ამბობს პოეტი და ჩვენ გვჯერა ამ სტრიქონების სიმართლე და გულწრფელობა.

სამშობლო, მისი გმირული წარსული და დღევანდელი მზიური აწმყო, ლეონიძის პოეზიის მთავარი თემაა. იგი ათასგვარი სახესხვაობითა და ვარიაციით გასდევს მთელს მის შემოქმედებას, მაგრამ მოსაწყენად არსად არ მეორდება.

გ. ლეონიძემ დიდი და საინტერესო გზა გაიარა. დაგვიანებული უცხო გავლენების ბატონობის პერიოდში იგი ერთადერთი ქართველი პოეტი იყო, რომელმაც პრინციპულად აირჩია მშობლიურ ეროვნულ ნიადაგზე დგომა და მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის ტრადიციის დიდი გზა გააგრძელა.

სიჭაბუკის დროინდელ დასავლური დეკადენტიზმით გატაცებას მანაც გადაუხადა ხარკი. მხოლოდ სხვათაგან განსხვავებით, დასავლეთის მოდერნიზმის ყვავილები გურამიშვილისა და ბესიკის ტოტებზე დაამყნო და ახალი ქართული პოეზიის ხის ნაყოფი თავისებური გემოთი და სურნელებით გაავსო.

გ. ლეონიძის ლექსმა, მისმა დიდმა საზოგადოებრივმა ღვაწლმა და მომხიბლავმა პიროვნებამ შორს გაუთქვა სახელი ქართულ პოეზიას და მას მრავალი მეგობარი შესძინა. სანიმუშოდ და ჩვენთვის მისაბაძად დარჩა გ. ლეონიძის მეგობრობა მ. შოლოხოვთან და ნ. ტიხონოვთან, მაქსიმ რილსკისთან და მიკოლა ბაჟანთან, მუხტარ აუეზოვთან და გ. გულიამთან, ავეტიქ ისააკიანთან და სამედ ვურღუნთან.

გ. ლეონიძე სწორუპოვარი მოქართულე იყო, იგი ძველი ქართულისა და დღევანდელი ცოცხალი კილოების შესანიშნავი მცოდნე იყო და ეს კარგად ჩანს მის ლექსებსა და წერილებში, განსაკუთრებით კი მის უაღრესად კოლორიტულ პროზაში.

ოთხათეულ წელიწადზე მეტ ხანს იდგა ლეონიძე ქართული მწერლობის წინა ხაზზე. თავის მშობელ ხალხს მან არაერთი დაუვიწყარი სიმღერა უძღვნა, იგი მშვიდობიანი შრომის დროს სამშობლოს მუხლჩაუხრელი მშენებელი იყო, ხოლო ომის მძიმე წლებში — სამშობლოს დამცველთა გამამხნევებელი და გმირულად დაღუპულთა ვაჟკაცურად დამტირებელი.

ამიტომ შეიყვარა იგი ჩვენმა ხალხმა, და ამიტომ ინახავს მის ხსოვნას ასე სათუთად.

შთამომავლობის ვალია კიდევ მეტი ზრუნვითა და ყურადღებით მოეკიდონ მის მემკვიდრეობას, რომელიც ასე მდიდარია და მრავალფეროვანი.

საქვეყნოდ ცნობილ ლექსებსა და პოემებთან ერთად ამ მემკვიდრეობაში პატიოსანი თვლებივით ბრწყინავს არაჩვეულებრივად ორიგინალური მოთხრობების ციკლი „ნატვრის ხე" და მნიშვნელოვანი გამოკვლევების სქელტანიანი ტომები.

ეს წიგნები მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის მშვენება და სიამაყეა და მათ შემოქმედს უფლება ჰქონდა სამშობლოსათვის მიემართა:

გულის ნათელი მე მიპოვია,
ქართლის დიდების მე ვარ
მნახველი,
სამშობლო ჩემი გულის
ფეთქვაა,
სამშობლო ჩემი ლექსის
სახელი.

გ. ლეონიძის პოეზია დღესაც ჩვენი განუყრელი თანამგზავრი და თანამებრძოლია, და ჩვენ გვჯერა, რომ პოეტს, რომლის გულის ფეთქვა და ლექსის სახელიც სამშობლოა, დიდხანს სიცოცხლე უწერია ჩვენს ლიტერატურაში, ჩვენი ხალხის ხსოვნაში.

---

ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას დიდი წარსული აქვს. იგი აღსავსეა მოვლენებით, რომელთაც წარუშლელი კვალი დატოვეს მთელს ჩვენს ისტორიაში.

ოქტომბრის დიადი მონაპოვარი — ხალხთა მეგობრობა განსაკუთრებული ძალით გამოჩნდა ამიერკავკასიის სამი ერის მაგალითზე. აზერბაიჯანელები, სომხები და ქართველები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჭედენ ქვეყნის დიად მომავალს, ქმნიან დოვლათს, თავის სიტყვას ამბობენ მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

ხალხთა მეგობრობის საქმეში განუზომელია როლი კულტურათა მეგობრობისა და თანამშრომლობისა. სამი ერის მწერლობა ამ მხრივ მუდამ გადამწყვეტ სიტყვას ამბობდა. სწორედ ქართველმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა მწერლებმა განამტკიცეს უპირველესად ჭეშმარიტი მეგობრობის ისტორიული ფესვები, მეგობრობის კეთილი ნაყოფი.

სამი ერის მწერლობის შემოქმედებითი კავშირი, რომელიც ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს მწერლობის ინტერნაციონალურ პათოსს, კვლავ გრძელდება.

დღეს, აზერბაიჯანის ქალაქ ყაზახში, რომელიც საქართველოს და სომხეთის საზღვრებს ემიჯნება, ერთმანეთს ხვდებიან აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ლიტერატურული გაზეთების რედაქციები. ერთობლივი „მრგვალი მაგიდის" თემაა: „ლიტერატურათა მეგობრობა — ხალხთა მეგობრობაა".

ვუსურვებთ ჩვენს აზერბაიჯანელ და სომეხ კოლეგებს დიდ შემოქმედებითს წარმატებას, ნაყოფიერ შრომას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

## რასულ რზა

აზერბაიჯანის სახალხო პოეტი რასულ რზა 70 წლისაა. მისი პირველი ლექსი თბილისში, ალმანახ „კიზილჯიმში" დაიბეჭდა 1927 წელს.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ემსახურება აზერბაიჯანულ სიტყვას, ეს კი ცოტა დრო არ არის ლიტერატურაში. ამ ხნის განმავლობაში პოეტმა გამოსცა ორმოცზე მეტი წიგნი, შექმნა უამრავი მხატვრული ნაწარმოები: ლექსი, პოემა, მოთხრობა, პიესა თუ ნარკვევი, რითაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა თანამედროვე აზერბაიჯანული მხატვრული ლიტერატურა და ამავე დროს გარკვეული წვლილი შეიტანა საერთოდ საბჭოთა ლიტერატურის საგანძურში.

რასულ რზას პოეზია თავიდან ბოლომდის თანამედროვეობის სუნთქვით არის დამუხტული, თანამედროვე ადამიანის სატკივრითა და საფიქრალით.

რასულ რზას შემოქმედებაში დიდმნიშვნელოვანია მისი ეპიკური პოემა „ლენინი", ამ პოემისათვის ავტორს სსრკ სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

რასულ რზა დაბადების სამოცდაათი წლისთავს მხნე და შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე ეგებება. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით და საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის ამ დღეებში პოეტს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

### ორი ქაბურღილი

ძველმა, ბებერმა ჭაბურღილმა
ახალ მეზობელს,
ახალგაზრდა ჭაბურღილს უთხრა:
— აბა, შენ იცი! ფოლადის ფუძეს
მკვიდრად დაადგი ეგ ფეხები,
მაგრად იყავი!
გვიახლოვდება ქარიშხალი
ფოლადის და რკინის მღეჭველი!

ყინჩად მიუგო ახალგაზრდამ:
— არ მეშინია!
რას მიზამს ქარი თუ ქარტეხილი!
შენ დაჟანგული საყრდენები გაშინებს შენი,
ტალღათცემისგან მორყეული,
ძაბუნჩალვრილი,
შიში მიტომაც შეგპარვია
ქარამოტის — ალვირწაყრილის!

გაეპასუხა დინჯად ბებერი:
— მე ცხოვრების გზა გასავლელი
უკვე გავლიე,
აწ თუნდაც დამცეს სტიქიონმა, რა მენაღვლება!
ცარიელ ტრაბახს ბიჭობაში არვინ ჩაგითვლის,
თუ ვაჟკაცი ხარ,
ჭირს დახვდი და ჭირს გაუძელი!
მე თუ წავიქეც,
მე — წარსული მაინც დამრჩება,
შენ თუ წაიქეც, — თან წაიღებ შენივ მომავალს!

თარგმნა **ზეზვა მედულაშვილმა**

**ლეილა ერაძე**

## ერთმანეთით ვართ უფრო ძლიერნი

სამნი ძმანი ვართ! — ვიტყვით და უმალ
ჩვენ სიამაყის დაგვკრავს იერი,
მსწრაფლ მივუხვდებით ერთმანეთს გუმანს,
ერთმანეთით ვართ მხოლოდ ძლიერი.

ძმები ვართ, აბა, სხვა რაა ძმობა,
ერთმანეთს ვებმით გულის სიმებით,
დასაბამიდან დაგვყვება გრძნობა —
ვართ თარგამოსის ღვიძლი შვილები.

რაკი შევფიცეთ ერთმანეთს ვეძმოთ, —
ერთად ვებრძოდით მტერს ნაირ ჯურის,
არც კი გვიკითხავს მხარდამხარ მებრძოლთ
ჩვენ ერთმანეთის ღმერთი და რჯული.

სულერთი იყო, რადგან სამთავეს
მტერიც და მოძმეც ერთი გვყოლია.
ძმობა გრძელდება, რა დაამთავრებს
რაც გულს დააჩნდა, სულს წაჰყოლია...

ძმობა, ერთობა ჩვენი ვალია,
მას ესწრაფვიან ჩვენში ყველანი,
ერთად იყვნენ და ერთად არიან:
თბილისი, ბაქო და ერევანი!

ძმები ვართ, აბა, რატომ გვახარებს
ჩვენ ერთმანეთის წინსვლა, შენება,
ჩვენს ცხოვრებაში ახალ-ახალი
დღის გათენება, დღის დაშვენება.

ყოველდღე ხდება რაღაც დიადი,
მზრუნველი ხელი ძმობას ატყვია,
აი, ის დილა და განთიადი,
ჩვენს მამა-პაპათ რომ უნატრიათ.

სამნი ძმანი ვართ! — ვიტყვით და თანაც
ერთმანეთს ვგავართ სახის იერით,
ცალცალკე თუ გვაქვს ნიჭი და ძალა,
ერთმანეთით ვართ უფრო ძლიერი!



# „ენკი-ბენკიდან“ „ვერლიბრის რინგამდე“

შალვა ამისულაშვილი

[illegible] და „გახსენება“. სამივე ეს ლექსი ყრმობასთან, სიყმაწვილესთან გამოთხოვების სამ ხმად შეკრული ერთი პოეტური სიმღერაა და აკი 1970 წელს გამოცემულ ქართული საბჭოთა პოეზიის დიდ ანთოლოგიაში საპატიო ადგილი დაიკავა კიდეც.

ბავშვობისეული მზიური სიხალისე, სისპეტაკე და აღქმის უშუალობა, ხასიათის ერთგვარი მიამიტობა კარგა ხნის მანძილზე შემორჩა მორის ფოცხიშვილს, როგორც პოეტს, როგორც შემოქმედს... „ბავშვივითა ვარ ხანდახან — გაორთქლილ მინაზე ჩემს სახელს ვწერ“ — ამბობს იგი ერთგან და შეიძლება ამითაც აიხსნება პოეტური მეტყველების ის მიმზიდველი სისადავე, სტრიქონების რთული ტექნიკური აღნაგობის მიუხედავად, მერმინდელ მის ლექსებშიც რომ შეინიშნება აგრე თვალნათლივ.

კრებულის „სარკე სარკეში“ წინასიტყვაობის ავტორი, ახალგაზრდა კრიტიკოსი სოსო სიგუა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლექსების ეს ახალი წიგნი პოლიფონიური ჟღერადობის წიგნია, რომ შემოქმედებითად სრულიად უცხოა პოეტისათვის ერთი ხაზის ჰეგემონია და რომ ამავე დროს იგი მკითხველში აღძრავს მუდმივი მოქმედების ჟინსა და სურვილს.

ვფიქრობთ, მცირეოდენი განსხვავებით ასევე შეიძლება ითქვას შემაჯამებელი კრებულის შესახებაც, რის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ თუნდაც არც ისე დიდი მოცულობის ლექსი „მაკრატელი“. დეკორატიული ნაძვების მწკრივში შემთხვევით ამოსულა თეთრი ალვის ხე. შემთხვევით კი ამოსულა, მაგრამ ალვის ხე რა ალვის ხეა, გვეუბნება თავად ავტორი, ცას თუ არ ასწვდა სინედლის ალით, თუ არ შეუდგა იმედად ღრუბლებსო...

დეკორატიული ხეების „ეშხით“ გაამაყებული მებაღე კი სულ სხვანაირად მსჯელობს: ყველა ხე ერთ ზომაზე, ერთ ყაიდაზე უნდა შეიკვეცოსო. ამის გამო გაწბილებული პოეტი იმ ლერწმის ბედსა ნატრობს, სადღაც ტბის პირას რომ წამოზრდილა და მზისა და ზეცის სიყვარულში შემცილებელს არავის ხედავს თავის გარშემო. მებაღის ალესილი დანა თუ მაკრატელი მას სიზმარშიაც არ მოსჩვენებია, და თუ ოდესმე მოიპრა მაინც ძეკაცის ხელით, მან იცის, მხოლოდ სალამურად იქცევა იგი და ტკბილ ბგერებად მოედება ცას და მიწას...

იქნებ ვინმემ თქვას, ეს მხოლოდ პოეტური დეკლარაცია გახლავთო. კეთილი, იყოს დეკლარაცია, მაგრამ „ნოეს კიდობანი“, „ოჩიაურის ნაჩუქარი ლომები“, „გარემოცვაში“, „ჭიუტი მეოცნებე“, „არ ხარ უცნობი“ და ერთმანეთისაგან განსხვავებული კიდევ სხვა ლექსები იმ დეკლარაციულ ლექსთან ერთად ხომ ჰქმნიან მუსიკალურ, აზრობრივ და ფერწერულ პოლიფონიას.

შევეხებით ორ ლექსს. პირველი, „ნოეს კიდობანი“, მარტო იმითაც არის საინტერესო, რომ ბიბლიური თემა ბიბლიურობაშივე კი არაა ჩაძირული, არამედ ჩვენი დროის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მღელვარე ზღვის ქეჩოზეა მოქცეული, რასაც ბრწყინვალედ ადასტურებს შემდეგი სტრიქონები: „გავაღებ სარკმელს, გაფრინდება ფიქრი მტრედივით — არის თუ არა მიწა სადმე, არის მშვიდობა?!“.

ამის შემდეგ ჩვენ სულაც აღარ გვეუცხოება, რომ პოეტი თავის ოთახს, თავის ბინას ნოეს კიდობანს ადარებს. ეს პოეტური დეტალი თუ შტრიხი შორეული საუკუნეების ერთმანეთთან დამაკავშირებელ ხერხად გვევლინება. მტრედად წარმოსახული ფიქრის, გაფრენილი ფიქრის მოლოდინში წუხს ავტორი, სულის ბორკილად ეჩვენება თავისი ეჭვიანობა და კითხულობს: სად არის ჩემი ფიქრის ფრინველიო და ბოლოს ბედთან მორკინალს შვებად ამოხდება გულიდან: „და მელანდება ზეთის ხილის შტო, როგორც იმედის თეთრი ყვავილი!..“

შემაჯამებელი კრებულის პოლიფონიურ ჟღერადობას თავისებურ ძალას მატებს ლექსი, რომელსაც „ოჩიაურის ნაჩუქარი ლომები“ ეწოდება. იგი ერთი ამოსუნთქვით არის დაწერილი და ემოციის მხრივ შესაძლებლობის ზენიტს აღწევს.

პოეტის წარმოსახვაში ოჩიაურის გამოძერწილი ლომები სტოვებენ მისი ოთახის კედელს და ლითონმქანდაკებელი მხატვრის ჭიშკართან მორთავენ ღრიალს — შინ დაბრუნების ნიშნად, მაგრამ ხელოვნება ხალხს ეკუთვნის და ცარიელი კედლის გოდება უკანვე უხმობს გაქცეულსა თუ გაპარულ ლომებს.

ლექსის ავტორს ერთსა და იმავე დროს მხატვარიც ეცოდება, მხატვრის ნახელავიც და თავისი თავიც, რის გამოც სინანულს გამოთქვამს: „ჩემი ბრალია, — მორჩილად ვდგევარ, მაჯას მიმძიმებს ცოდვილის თოკი, — რომელი ცირკის ჯამბაზი მე ვარ, თავს ვიწონებდი ლომებში როკვით?!“, მაგრამ აგონდება, რომ ოჩიაურის ლომებს მან ერთხელ „ღმერთებიც“ უწოდა და ნაწარმოებში შემოჭრილი „ჯამბაზური მოტივი“ უკანა პლანზე გადადის, გზას უთმობს მაღალ ხელოვნებას. მხატვარი, ხალხი, ხელოვნება! — აი ამ ლექსის პათოსი.

„პოეტის ბიბლიოთეკის“ სერიით გამოცემულ ამ კრებულში ბევრი კარგი ნაწარმოებია. ცხადია, ყველას ვერ შევეხებით, ისინი ისედაც საკმაო პოპულარობით სარგებლობენ მკითხველთა შორის, მით უმეტეს, ნახევარზე მეტი ამ ლექსებისა სიმღერებად არის ქცეული. შევეხებით ახალი ლექსების კრებულს — „სარკე სარკეში“. სახელწოდებად, მართალია, ერთ-ერთი ჩვეულებრივი ლექსის სათაურია გამოყენებული, მაგრამ იგი წიგნის ერთგვარ სიმბოლიკაზეც მიგვანიშნებს: პოეტის შემოქმედება თუ მისი სულიერი ცხოვრების სარკეა, ამ სარკის სარკე კიდევ თვითონ ეს წიგნი გახლავთ.

ადრე ქართულ პოეზიაში ალექსანდრე აბაშელმა, ხოლო მოგვიანებით რუსულ პოეზიაში სემიონ კირსანოვმა აღნიშნულ თემაზე მეტად საინტერესო ნაწარმოებები შექმნეს, პირველმა — ლექსების მთელი წიგნი, მეორემ კი საკმაოდ მოზრდილი პოემა;

ფოცხიშვილის წიგნის პოეტურ სარკეში ცხოვრებისეული სიკეთის ნათელი ანარეკლი ჩანს.

სიკეთეს ლამაზი სიცოცხლე მოსდევს, ლამაზ სიცოცხლეს — მხურვალე სიყვარული, ეს კი ადამიანისთვის სასწაულს უდრის. აკი თვითონ ავტორიც ამ სასწაულს შეჰხარის, როცა წიგნის პირველივე ფურცლებიდან გვაუწყებს: „ამ ქვეყნად მოსვლა, სხვა თუ არა, იმიტომ ღირდა, რომ ერთხელ მაინც მეთქვა — „მიყვარხარ!“ აქ არც რითმებია, არც სტრიქონების მკაცრი განლაგება და განსაზღვრულობა, მაგრამ მისი მზიური განწყობილება მაინც ადვილად იუფლებს მკითხველის გულს.

მუდმივი მოქმედების ჟინითა და სურვილით სუნთქავს წინამდებარე წიგნის არა ერთი და ორი ნაწარმოები. ამაზე მეტყველებს თუნდაც: „ტრასაზე“, „ბებერი ჟოკეის ჰალუცინაციები“, „არ მინდა შენი სიბრალული“ და „პეიზაჟი მამლით“.

სიჩქარის ჟინით შეპყრობილი პოეტი გაზაფხულსაც კი აფრთხილებს, ედავება: ნუ გადამირბენ წინ გაზაფხულო, ჩემი ცხოვრება ასი ცხენის ძალის სიჩქარით თავს იმტვრევს ახლა დიდ ტრასაზეო...

ჩვენ აქვე გვესმის ოცნებით სიჭაბუკეში გადასული ბებერი ჟოკეის გამკივანი ხმა და გაგიჟებული ცხენების გაბმული ჭიხვინი, ფინიშთან მიახლოვების სიხარულით გამოწვეული. ცეცხლი ცეცხლად, რიტმი რიტმად! — ისმის პოეტის შეძახილიც. არც მკითხველები ვრჩებით საერთო ფერხულში ჩაუბმელნი და ნებისმიერ სტრიქონს ძალდაუტანებლად ვიმეორებთ: „ყალყზე დგება სიჭაბუკე გადარეულ გენებით... ფინიშისკენ, ფინიშისკენ კვლავაც გულგახელებით!..“

თავისებური გააზრება და მხატვრული განზოგადება ჩანს ჟინვალჰესზე დაწერილ ლექსში. კომპოზიციის მჭიდრო არტახები თითქოს არ უნდა იძლეოდეს დინამიკის საშუალებას, ალბათ ნერვიულობაც ამიტომ ეპარება პოეტის ხმას: ახლა მე, როგორც ჟინვალჰესთან კავკასიონის აორტას — არაგვს, შედედებული სიცოცხლე მზარავსო, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენაა, სინათლედ ქცევის მოლოდინით გამოწვეული, მერე კი სინათლედქცეულ მის სიცოცხლესაც მაღალი ძაბვის მავთულებში მოელის გაჭენება... აქ ავტორის მეტაფორულ აზროვნებას მეტი გასაქანი ეძლევა და ალბათ ამ ლექსის შინაგანი დინამიკაც ამით არის განპირობებული...

გვერდს ვერ ავუვლით სიყვარულის თემაზე დაწერილ ორსტროფიან უსათაურო ლექსსაც, რადგან ზამბარასავით დაჭიმული მისი სტრიქონები ამის უფლებას არ გვაძლევს: „არ მინდა შენი სიბრალული, შავი ნაწნავებით შემკარი, — და თუ სიგიჟეა სიყვარული, გავგიჟებულვარ და ეგ არი!..“

თეთრი, ურითმო, სტროფდაუყოფელი სტრიქონებით არის შესრულებული პატარა ლექსი — „პეიზაჟი მამლით“. მგონი არც მკაცრი, გარკვეული რიტმი გააჩნია, მაგრამ საუცხოო შთაბეჭდილებას სტოვებს მაინც. რაშია საქმე? საქმე ისაა, რომ მის ბუნებრივ გააზრებასა და განწყობილებაში პოეზიის მადლი ტრიალებს. წარმოიდგინეთ არფის სიმივით გაჭიმული თოკი, ზედ მოფრიალე ბავშვის წითელი პერანგი, სიყვარულში გამარჯვებულთა სიმბოლიურ ალამს რომ წააგავს, ამას დაუმატეთ ეზოში თავმომწონედ მოსიარულე წითელი მამალიც და თქვენს თვალწინ მთელი სიცოცხლე, მთელი ცხოვრება გადაიშლება...

„ქართულ სიტყვას აქაც თავისი ასამაღლებელი ხმა ჰქონიაო“, თქვა ქვეყნის გასაგონად დიდმა ილიამ ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, როცა გრიგოლ ორბელიანის თეთრი, ურითმო ლექსი წაიკითხა.

ვერლიბრზე ფიქრებმა დააწერინა მორის ფოცხიშვილს მეტად საინტერესო ლექსი — „ვერლიბრი რინგზე“, რომელშიც ვკითხულობთ: „რინგის ლურჯ კუთხეში — მე! წითელ კუთხეში — ის!“, ესე იგი სიკვდილიო, ამბობს გაადამიანებული ვერლიბრი და განაგრძობს: „ბრბო კვლავ ასკდება რინგს, გონგი სულთათანას რეკს, — წითელ კუთხეში — ის! ლურჯ იატაკზე — მე!.. წყდება რეფერის თვლა, რადგან მე ფეხზე ვდგები, და დამსხვრეული უბებით ბრძოლას მოვითხოვ კვლავ!“ — რასაც მოსდევს სტვენა, ტამტამი, ტიტრი და ყოველივე ამას — შერკინების თავბრუდამხვევი რიტმი...

თავისთავად კარგია ვერლიბრის შერკინების ეს აღწერილობა, მაგრამ, ვფიქრობ, ამგვარი შემართება აღარ დასჭირდება მას ახლო მომავალში, რადგან ზეგარდმო მადლი მის მხარეზედაც ტრიალებს უკვე...

„სიხარულს მაშინ, დედაჩემო, შენი ხმა ჰქონდა“, ვკითხულობთ ლექსში „სუფრა გაწყობილია“ და გულში მოულოდნელობის ჟრუანტელი გვივლის. სხვათა შორის, ეს ნაწარმოებიც ურითმოდ არის დაწერილი და აბა, თუ კაცი ხარ, წუნი დასდე! აი, როგორ ცოცხალ ფერებშია მოცემული თუნდაც ლექსის ბოლო ნაწილი: „რძე იყო თითქოს ღვთაებრივი ნისლის ნაწველი, პურს საქართველოს ველმინდვრების სუნი სდიოდა“...

აქ, ამ ლექსში დედის სიკვდილზე, დედის გარდაცვალებაზე სიტყვაც არა არის ნათქვამი და ჩვენ კი მთელი არსებით განვიცდით მის არყოფნას ამ ქვეყანაზე...

„დარდის დონეზე დასული გული გასკდება, თუ არ იმღერა კიდევ!“ — გვხვდება ასეთი კარგი მინიატურული ლექსებიც წინამდებარე კრებულში. აი კიდევ ერთი მათგანი: „არავინაა... მარტომ უნდა გავტეხო პური, — მშიერ შოშიებს ფანჯარასთან გავყურებ შურით“...

უსულგულო ადამიანების გასაგონად არის დაწერილი საკმაოდ საინტერესო ლექსი — „როგორ ბრძანდებით“... რა საჭიროა, რომ მეკითხებით, თუკი ჩემს პასუხს არ მოისმენთ და ისე წახვალთო, მიმართავს პოეტი ერთ-ერთ მათგანს და დარდისაგან ქუჩაში ფრთებჩამოყრილი გულისტკივილით გვატყობინებს: ენაზე მადგას პასუხი — „ვკვდები“, მაგრამ შენ უკვე არ გესმის ჩემიო...

ასაკზე ფიქრობს პოეტი ლექსში „დაულაგებელი რვეულები“. სიჭაბუკეში გარე-გარე მოსიარულე, ახლა კი სიჭარმაგის გამო საწერ მაგიდასთან მიჯაჭვული, ირონიით მიმართავს თავის თავს: დალაგებული ცხოვრება გინდა დაულაგებელ რვეულებშორისო და გამშაგებით ეძებს მიზეზს, რომ შურდულივით გავარდეს გარეთ, მაგრამ საბაბს ვეღარ პოულობს და თანდათან ურიგდება თავის მძიმე ბედს, რომ შთამბეჭდავი სიტყვა თუ განცდა დაულაგებელ რვეულებში გადაიტანოს სიჭაბუკის უკვდავსაყოფად...

ორიგინალური გააზრებით იპყრობს ყურადღებას აგრეთვე ლექსი „საუბარი“. იგი ასე იწყება „ნდობა არ გვქონდა, უბრალო ნდობა, — და მაინც შევხვდით... სისულელე ყოფილა მტრობა!“... ლექსის ლირიკული გმირი დაასკვნის ბოლოს: „რაც იყო იყო, გასულია ეპოქა მგლური, — უნდა იპოვნოს გონებამ გული!..“

მორის ფოცხიშვილის წინამდებარე ორივე წიგნი გულისა და გონების სწორედ ამ ჰარმონიული მთლიანობისაკენ ლტოლვის უხილავი ჟინით არის დამუხტული.

# პოეტის არჩეული გზა

მიხეილ ქვლივიძე

ბესიკ ხარანაული დიდი პატივისმცემელია მკითხველისა.

მაინც, რაში გამოიხატება ეს პატივისცემა?

პოეზია, ბოლოს და ბოლოს, მეტყველებაა და, მაშასადამე, ადამიანთა ურთიერთობის ფორმაა: ერთი ადამიანი მეორეს ეუბნება თავის აზრს, გულისნადებს, ტკივილსა თუ სიხარულს უზიარებს და როგორც ეს ცხოვრებაში ხდება ხოლმე, მსმენელისაგან გარკვეულ რეაქციას, შესატყვის გამოძახილს მოელის.

რამდენჯერ ყოფილა, ჟურნალში ან გაზეთში ლექსი წამიკითხავს და მიფიქრია: ღმერთო ჩემო, ვისთვისაა დაწერილი ეს? მარტო ანბანის მცოდნე კაცისთვის, თუ მეოცე საუკუნის მიწურულის ქართველი მკითხველისთვის? ნუთუ ეს „ლექსები“ ოდნავ მაინც დააინტერესებს და დააკმაყოფილებს თანამედროვე ადამიანს, ვისაც წიგნების, კინოს, რადიოს, ტელევიზიის თუ კომუნიკაციის სხვა ფორმების მეშვეობით ჩვენმა საუკუნემ ამხელა — ჭეშმარიტად განუსაზღვრელი! — ინფორმაციის მიღების საშუალება მისცა?!

ანბანური ჭეშმარიტებაა: მწერალი მკითხველზე გათვითცნობიერებული უნდა იყოს! თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მწერალი თუ ხარ, მკითხველზე მაღლა დააყენო შენი თავი! „მწერალი — მკითხველი“ — ამ ტანდემის გარეშე ლიტერატურა არ არსებობს. მკითხველი მწერლის „თანაავტორია“ და მწერლის პატივისცემა მისდამი სწორედ იმაში გამოიხატება, რომ იგი, ასე ვთქვათ, თავის ტოლად თვლის მკითხველს, მის ერუდიციას, ალღოსა და შემეცნების უნარს ენდობა.

ბესიკ ხარანაული ენდობა თავის მკითხველს. იგი მას ენამოჩლექით კი არ ელაპარაკება, როგორც ბავშვს; მთელი სერიოზულობით მიმართავს მას და მისგანაც დაძაბულ გონებრივ მუშაობასა და სულიერ ძალთა სრულ მობილიზაციას მოითხოვს.

ერთი ნაცნობი მყავს თბილისში. გულკეთილია და პატიოსანი. საშუალო სკოლის მასწავლებელია და ლიტერატურაზე უყვარს მსჯელობა! ამას წინათ მითხრა: სკოლაში ერთი პოეტი მოვიწვიეთო, ძალიან კარგი ლექსები წაგვიკითხაო, ლამაზი, კეთილხმოვანი. სულ იმას ამბობდა, რაც ჩვენ უკვე ვიცოდითო, თითქოს ჩვენ გულში იჯდაო!..

ბესიკ ხარანაული არ გვეუბნება იმას, რაც ჩვენ უკვე ვიცით. მისი ლექსი თითქმის ყოველთვის აღმოჩენაა, რომელიც ჯერ გვაკვირვებს, შემდეგ კი ცხოვრების ახალ შრეებში სამოგზაუროდ გვიწვევს და ახალი სილამაზის შეცნობის სიხარულს გვაზიარებს.

რამდენი დაწერილა სიყვარულზე, მაგრამ ასეთი რამ სხვას არ დაუწერია: ამ ღამით მე შენთან ვიყავი, მაგრამ შენ არ დამხვდი სახლში... და არც შენი სახლი იყო სადმე ქალაქში... და ის ქალაქიც არსად იყო დედამიწაზე...

პოეტის მოწოდებაზეც ბევრი თქმულა, მაგრამ ასე:

არც ერთი ყლუპით, არც ერთი გროშით, არც ერთი ღერით, არც ღონითა და არცა ჭკუით — ერთი ცრემლით მეტი ვარ თქვენზე!

მავანი იკითხავს: რითმა სად არისო? ამ ლექსებს (ისევე, როგორც ბესიკ ხარანაულის სხვა ლექსებსაც) რითმა არ სჭირდება. ეს შიშველი აზრი და გრძნობაა, რითმა კი შეიძლება აქ ტრადიციულ „მუსიკალურ“ ფენომენად აქცევდა ლექსს, ნანასავით მიაძინებდა მკითხველს, „დაამშვიდებდა“ და მის სათქმელს სიმძაფრეს დააკლებდა.

საერთოდ, სიტყვა „შიშველი“ ყველაზე უკეთ გამოხატავს ბესიკ ხარანაულის პოეზიის არსს: კანშემოცლილი მავთული თუ გინახავთ, რომელშიც მაღალი ძაბვის დენი გადის?

ეს „მაღალი ძაბვის დენი“ — ფხიზელი სინდისია, სუფთა და შეურყვნელი მოქალაქეობრივი გრძნობაა, პოეტის კაცობაა!

გავიხსენოთ ლექსი „მეტამორფოზა გადაიდო“, სადაც დღის ბოლოს მაგიდასთან დიდხანს ჯდომით, ტელეფონზე საუბრით, „დიახდიახით“ დაღლილი ვინმე მოხელე მუხლების გასამართავად თუ თავბრუალის გადასაყრელად თავისი კაბინეტის ფანჯარას მიადგება, ძირს გადაიხედავს, ქუჩაში, სადაც ნამდვილი ცხოვრება ბობოქრობს და უცებ, ანგარიშმიუცემლად... კვნესა აღმოხდება! ეს ბუნების ძახილია, ეს უშუალო ადამიანური რეაქციაა... მაგრამ პირობითი ცხოვრებით ანუ უფრო სწორედ, „არაცხოვრებით“ დაღლილი მოხელე უმალ ჩაახშობს თავის თავში უშუალობის ამ უნებლიე გამოვლინებას (ამ თავის „სისუსტეს“!) სწრაფად დაუბრუნდება სავარძელს, „ზარის ღილაკს დაასრესს ბაღლინჯოსავით“, გაიმართება და მრისხანედ მიაშტერდება შემოსასვლელ კარს... კინაღამ რაღაც მოხდა! ლამის არი, ადამიანში კაცმა გაიღვიძა (გახსოვთ, ილიას „კაცია-ადამიანი?!“), მაგრამ არა, „მეტამორფოზა გადაიდო“! როდემდის? მოხდება კი ეს საბედნიერო „მეტამორფოზა“?

ბესიკ ხარანაულის ლექსები პრინციპულად განსხვავდება მისი უფროსი თუ უმცროსი თანამოკალმეების ლექსებისგან. ეს განსხვავება არა მარტო იმაშია, რომ ჩვენი პოეტი ვერლიბრს წერს. ვერლიბრს ახლა ბევრნი წერენ, მაგრამ ბესიკ ხარანაულის ვერლიბრი სიტყვის დიდი ეკონომიით გამოირჩევა. აბა, ვნახოთ, რით არის გამოწვეული ასეთი სიტყვაძვირობა. საქმე ისაა, რომ ასოციაციების რთული „კარდიოგრამა“, რომელსაც პოეტში ცხოვრების სურათი ან მოვლენა იწვევს, ლექსში ნაწყვეტ-ნაწყვეტად (წყვეტილი პერიოდებით), ზოგჯერ კი არათანმიმდევრულადაც არის წარმოდგენილი. პოეტი საჭიროდ არ თვლის თქვას ყველაფერი, რაც იცის, რაც მის გულისთქმას გამოხატავს. იგი მხოლოდ მთავარზე ამახვილებს ყურადღებას და ამით მკითხველს — „თანაავტორს“ — მოუწოდებს, რომ მან თვითონ აღადგინოს ის პირვანდელი სურათი, რამაც პოეტის შთაგონებას ბიძგი მისცა. რამდენიმე მოკლე სტრიქონით ხარანაულის ლექსში ზოგჯერ ისეთი რთული ამბავი ან მღელვარე ფიქრია გადმოცემული, რომ ამაზე კარგა დიდი მოთხრობა დაიწერებოდა. ამ მხრით, სანიმუშოა ლექსი „გზის დალოცვა“. მკითხველი თვითონ უნდა მიხვდეს — ვისზე ან რაზეა დაწერილი ეს ლექსი: ადრესატი არ არის დასახელებული. ლექსი პირდაპირ მიმართვით იწყება:

ამაო აღმოჩნდა ჩემი მუდარა, რომ არ გეჩქარა ბავშვობასთან გამოთხოვება. შენ დაემორჩილე ყველაზე ბრძენს — ბუნებას და აი, დღეს შენთვის უკანასკნელი ზარი დაირეკება...

„ზარი დაირეკებაო“ — რომელ ზარზეა ლაპარაკი?... კიდევ ორიოდე სტრიქონი და:

მე არასდროს მიგაცილებ სკოლის კარამდე...

მაშ, სასკოლო ზარია! და თუმცა „შვილი“ არსად ნახსენები არ არი, ლექსის დრამატული ფინალი ყველაფერს ნათელს ხდის — სკოლადამთავრებული შვილის ცხოვრებაში გასვლას და მამის გულისტკივილსაც:

დაე, ზარები რეკდნენ შენთვის მთელი სიცოცხლე, რეკს ჩემი გული, რომელიც შენ გზადწასულს გხედავს.

სწორედ ამას ვგულისხმობდი, როცა ვამბობდი: ბესიკ ხარანაული თავის მკითხველს პატივს სცემს-მეთქი! მკითხველმა თვითონ გაიაზრა ლექსი და ესთეტიკურ სიამოვნებასთან ერთად, ნაწარმოების „შემქმნელის“ სიხარულიც იგრძნო!

ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო საინტერესოა პატარა პოემა „სურათები მაწანწალა ძაღლის გზაზე“, სადაც თავის თავგადასავალს ნაწარმოების „გმირი“... ძაღლი გვიამბობს. ეს პოემა 17 თავისაგან შედგება. ზოგიერთი თავი სულ ერთი სტრიქონია, მაგრამ, წარმოიდგინეთ, მეტი არცაა საჭირო. აი, მაგალითად, ერთი „თავის“ სრული ტექსტი:

ქათმების ხეზე აფრენის ჟამი.

ეს, ასე ვთქვათ, მოქმედების დროა. ამას მოსდევს გმირის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ვითარებაში ხდება მოქმედება:

მე გავრბივარ... გავრბივარ... შიში და შიმშილი ჩემი ორი ფრთაა და მიმაქროლებენ.

ირგვლივ კი რა ხდება?

საღამოა წყნარი, მშვიდი, მოალერსე, ქვეყნის მამების სეირნობის ჟამი... ხელები უკან დაუწყვიათ და კაცობრიობის მომავალ აღსასრულზე ტკბილად ბაასობენ...

მოქმედება ნახტომისებურად ვითარდება, ავტორის ყურადღება მხოლოდ მთავარის ფიქსაციას ახდენს, წვრილმანები მას არ აინტერესებს... აი, ძაღლმა ქუჩაში ძუკნა დაინახა და მასთან „მისუნსულდა“.

თურმე მთელი აცმა ხვადი ძაღლებისა უკან მოჰყვებოდა... მთელი საღამო ბალანს ვილაგებდი.

ძაღლს მოშივდა, ქვაფენილზე დაგდებულ ლუკმას დაეძგერა და...

აი, ახლაც რაღაც უცხომ ყელი ჩამთუთქა.

პოემის „გმირს“ ყოველ ფეხის ნაბიჯზე მარცხი ელოდება, იგი უპატრონოა, მიუსაფარი და ერთადერთი, რაზედაც ოცნებობს, — თავი მიდოს „მთვარის ბალიშზე“ და დაიძინოს ისე, რომ არაფრის ეშინოდეს...

აფორისტული, ზოგჯერ პარადოქსული თქმები — ბესიკ ხარანაულის პოეზიის კიდევ ერთი საინტერესო თვისებაა. აქაც იგი მთლიანად მკითხველის იმედით არის, მის ჭკუას და გუმანს ენდობა:

მხოლოდ მხდალი გაურბის იმას, რასაც უნდა თვითონ ეძებდეს... ერთის დავიწყება მეორეს გვახსენებს.

. . . . .

უცნაურია ადამიანი — კაცს მოკლავს და აღარ დამარხავს...

. . . . .

სამყაროს აღწერს, ვინც თავის თავს აღწერს სრულყოფით...

. . . . .

კიდევ კარგი, რომ ტანჯვის ხელოვნება მაინც არის მიუბაძველი...

. . . . .

გაზაფხულის პირველი დღე ისევ ზამთარია...

. . . . .

ასეთ სტრიქონებს რომ წააწყდები, არ შეგიძლია წიგნი განზე არ გადადო და ერთხანს არ დაფიქრდე.

ერთხელ, მახსოვს, აკაკი ხორავამ პოეტების სადღეგრძელო თქვა. „საკვირველი ხალხია! თავდაპირველად ლექსის კითხვას რომ დაიწყებს პოეტი, ვერ მიხვდები რაზე ლაპარაკობს: სულ განიშნებს რაღაცას, გარშემო უტრიალებს მთავარ სათქმელს, — ხან აქედან მოუვლის, ხან იქიდან, ხან ამას შეადარებს, ხან იმას, ხან თითქო სულ დაივიწყებს და სხვა საგანზე ჩამოაგდებს სიტყვას, და ბოლოს სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდება, რომ ის, რაზედაც პოეტი ასეთი გატაცებით და ასე საინტერესოდ ლაპარაკობდა, თურმე ჩვეულებრივი... ვაზი ყოფილა! აბა, ვაზის მეტი რა გვინახავს ქართველებს, მაგრამ გამოდის, რომ მის შესახებ არა გვცოდნია რა!“

მაშ, პოეზია უკვე ცნობილის ხელახალი აღმოჩენაა, ახალი კუთხით დანახვაა?!

სწორედ ეს ვიფიქრე, როცა ბესიკ ხარანაულის „კარტოფილის ამოღება“ წავიკითხე.

ამ ლექსში, რომელიც ყოვლად პროზაულ, „არაპოეტურ“ ამბავზე — კარტოფილის ამოღებაზეა დაწერილი, ყველაფერია: მშობელი მიწისა და შრომის პატრიარქალური სიყვარულიც, დედის — ოჯახის ფუძის და საერთოდ, დედა-შვილური ურთიერთობის აპოლოგიაც, თაობათა ცვლაც, ჭირის ოფლით მოპოვებული ლუკმის მადლიც, სიცოცხლის სიხარულიცა და წარმავალობის ნაღველიც! ეს არა მარტო სინამდვილის ცოცხალი სურათია, მასში ის დიდი ტკივილიც იგრძნობა, რომელსაც ჩვენ — მიწას მოწყვეტილი ქალაქელები — ასე მწარედ განვიცდით! რას იზამ, ახალგაზრდობამ დაივიწყა სოფელი, მიწას მოწყდნენ შვილები და მხოლოდ დედა, მოხუცი დედა ისევ დარაჯობს მოძველებულ სახლს, მტკავლისოდენა მიწის ნაკვეთს, რომელსაც სამშობლო ჰქვია. ეს ის „სხვა საქართველო“ არ არის თავისი „ვენახებითა, ლეღვისა და წაბლის ტყეებით“. აქ, თიანეთის მწირ მიწაზე, მხოლოდ კარტოფილი მოდის, მაგრამ კარტოფილსაც ხომ უნდა ამოღება, დაბინავება, ისიც ხომ ჭირნახულია?!

და აი, ...როცა საქმეს მოვრჩებით და კარტოფილს დავაბინავებთ, როცა ხელებს დავიბანთ და ტანსაცმელს ჩამოვიბერტყავთ, როცა დედაჩემი სამზარეულოს მიაშურებს, როცა დასაღამოვდება და აგრილდება, — მე წამოვისხამ თბილ რამეს და სახლის წინ, დიდი ვაშლის ძირში დავჯდები.

აქედან კარგად იხედება ჩვენი მიჯნები და მე ვფიქრობ ჩვენს ეზოზე, რომელიც ერთ დროს მშობლიური თავშეწირვით, უშურველად გვკვებავდა და რომელმაც ახლა მხოლოდ და მხოლოდ უნდა გაგვართოს ის ერთი-ორი არასრული თვე, როდესაც თბილისიდან თიანეთში ჩამოვდივართ... მაგრამ ლირიკული გმირის მონოლოგი ამით არ თავდება. მან იცის, რომ, თუ დღეს თვითონ „გასართობად“ მაინც ჩადის სოფელში, ხვალ მისი შვილი სოფლისკენ არც გაიხედავს, ერთი მუჭა კარტოფილის ინტერესი (თუ მოხუცი ბებიის ხათრი?) მას აღარ ექნება... ...ჯერ კიდევ ჰკიდია ყუნწს ფოთოლი, მაგრამ ქარი უკვე გზაშია. და მე ვფიქრობდი ქარზე, რომელმაც ფოთოლივით წამიღო... ვმსჯელობდი, ვკამათობდი, ვიდრე ჭიშკრის იქიდან ჩემი ბიჭის მხნე და მხიარული ძახილი არ გაისმა.

რა ნაღვლიანად ჟღერს ეს „მხნე და მხიარული ძახილი“?! მოხუცი დედა კი სდუმს, რადგან არ შეუძლია მას იოლი ლაპარაკი არც მიწაზე, არც ცხოვრებაზე, არც ზამთარზე და არც კარტოფილზე. ყველაფერი ძალზე რთულია, ძალზე რთულია და ძალზე ძნელი.

ასე მთავრდება ეს მშვენიერი ლექსი, რომელიც მეტ კომენტარს არ საჭიროებს.

ერთ ლექსში ბესიკ ხარანაულმა თავის თავს თბილისის ქუჩებში გამოსული „უსურიელი ენოტი“ უწოდა. ალბათ, ამით იმის თქმა უნდოდა, რომ მისთვის, თავით ფეხამდე და სულის ძირამდე ქართველი კაცისთვის, არაფერი უცხო არ არის. მართლაც, საკვირველი ამბავია: ბესიკ ხარანაული უაღრესად ეროვნული პიროვნებაა, იგი მთელი თავისი არსებით ქართულ მიწასთან, ქართულ სოფელთან და ქართულ ტრადიციებთან არის დაკავშირებული. და სწორედ მან, პირველმა, ასე ბუნებრივად შეისისხლხორცა ვერლიბრი — ეს დასავლური პოეზიის ბოლო წლების მნიშვნელოვანი შენაძენი! თუმცა, ეს გასაგებია: სიახლისკენ სწრაფვა ჩვენი ეროვნული ხასიათის ერთ-ერთი მთავარი თვისებაა და გურამ ასათიანის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, „მუდმივი განახლებისკენ მიდრეკილებაც... არა თუ არ თრგუნავს, პირიქით, ხელს უწყობს და ახალ პერსპექტივებს უშლის ზოგიერთი ჩვენი სულიერი მონაცემის შემდგომ განვითარებას“. იქვე გ. ასათიანი დასძენს: „ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ, ბევრი რამ უნდა გადმოვიღოთ მათგან, ვინც ჩვენზე წინ წავიდა ცივილიზაციის თანამედროვე გზაზე... მაგრამ ისე, რომ სხვის ორეულად არ ვიქცეთ, ისე, რომ ჩვენი არსი არ შეიბღალოს — არა მხოლოდ კოლორიტი, არა მხოლოდ გარეგანი იერი, არამედ უწინარეს ყოვლისა, არსი, ბუნება, შინაგანი კონსტიტუცია“.

ბესიკ ხარანაულს შეუძლია თამამად იაროს მის მიერ არჩეულ გზაზე — ეს საშიშროება მას არ ემუქრება.

# „პიკასო-ფიზიკა. XX საუკუნის აბრაკადაბრა?“

დიდი ინტერესით წავიკითხე წლევანდელი „ც ი ს კ რ ი ს“ მეორე ნომერში მწერალ გურამ ფანჯიკიძის ვრცელი წერილი — „პიკასო — ფიზიკა. XX საუკუნის აბრაკადაბრა?“ გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ საერთოდ არ წამიკითხავს ქართულ ენაზე ესოდენ საინტერესო მასალა, მეცნიერულ საკითხებს რომ ეხებოდეს. მისი წაკითხვის შემდეგ ერთადერთი სურვილი გამიჩნდა, უკეთ, ნატვრა — რა კარგი იქნებოდა, მწერალს იგი ბოლო რომანის გამოქვეყნებამდე რომ შეეთავაზებინა მკითხველი საზოგადოებისათვის! თუ რატომ იქნებოდა კარგი, ამას იმ წერილისა და რომან „აქტიური მზის წელიწადის“ წამკითხველი ისედაც მიხვდება. ეს არის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელიც ჟანრობრივად თუ სახეობრივად ძნელი გამოსაცალკევებელია: მეცნიერული სტატიაა იგი, ნარკვევი სახელგანთქმულ ფიზიკოსებზე თუ მწერლის პუბლიცისტური წერილი; ძნელია იმიტომ, რომ ყველაფერია, ერთად აღებული!

გ. ფანჯიკიძის ხსენებული წერილი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ყოველი ჭეშმარიტი მწერალი ყოველთვის იყო და იქნება თავისი ეპოქის მაჯისცემის, იმპულსების ფიქსატორი, ეპოქის სისხლხორცეულად (და არა დილეტანტურად!) გამომსახველი; რომ მწერლის მხატვრული აზროვნება ყოველთვის უნდა ესატყვისებოდეს ეპოქის, საზოგადოების განვითარების ინტელექტუალურსა და მეცნიერულ-ტექნიკურ დონეს, ეპოქის რიტმს.

სწორი და მეტად დროულია მწერლის მოთხოვნა, რომ აუცილებლად უნდა აღიზარდონ ზუსტ მეცნიერებებში კარგად გათვითცნობიერებული ჟურნალისტები, თორემ ძალიან შორს ჩამოვრჩებით ეპოქის სუნთქვას. გადახედეთ ჩვენს ლიტერატურულ პერიოდიკას — ჟურნალებს, გაზეთებს — რამდენი მაღალმხატვრული ნარკვევი იბეჭდება ცნობილ მევენახეებზე, მესიმინდეებსა თუ მეჩაიეებზე! მაგრამ ასევე მაღალმხატვრულ ნარკვევებს ძნელად მოიძებთ საქვეყნოდ ცნობილ ჩვენს მეცნიერებზე — ფიზიკოსებზე, მათემატიკოსებზე, ასტრონომებზე.

როგორ შეიძლება დღევანდელმა ჟურნალისტმა ისაუბროს რომელიმე ფიზიკოს მეცნიერზე, მის აღმოჩენაზე, საერთოდ მიკროსამყაროსთან დაკავშირებულ პრობლემებზე ისე, რომ წარმოდგენაც არ ჰქონდეს (ხომ არ ვამბობ, არ ერკვეოდეს-მეთქი) ალბათობის თეორიის მნიშვნელობაზე, იმაზე, რომ სამყაროს ალბათურობამ ძალზე ააფორიაქა ფიზიკოსებიც და ფილოსოფოსებიც. დიახ, სამყაროს განუსაზღვრელობამ და ალბათობის თეორიამ სამყაროს მატერიალურობაში შეიტანა ეჭვი. ერთმა პროფესორმა კვანტურ მექანიკას იმპერიალიზმის აგენტიც კი უწოდა, მეორემ კი — XX საუკუნის აბრაკადაბრა.

განა საინტერესო არაა, თუ რატომ უწოდა დე ბროილმა ნილს ბორს „თანამედროვე ფიზიკის რემბრანდტი“?!

განა საინტერესო არაა, რას ნიშნავს „ალბათობის თეორია“ და რატომ არის იგი ჩვენი საუკუნის ყველაზე დიდი და ყველაზე უცნაური აღმოჩენა?

განა მართლაც საოცარი არაა, რომ ფარდობითობის თეორიის აღმომჩენმა გენიალურმა აინშტაინმა მხარი არ დაუჭირა ალბათობის თეორიას?

ბოლოს და ბოლოს, აღარც ისაა საინტერესო, რომ ზოგიერთმა უცხოელმა მეცნიერმა (დირაკი, ედინგტონი) სამყაროს ალბათურობაში ღმრთის ნება-სურვილს დაუწყო ძებნა?!

გ. ფანჯიკიძის წერილები: „რა ელის ჩვენს პლანეტას?“, „მფრინავი თეფშები — მითი თუ სინამდვილე?“, „რუსთაველის კოსმოლოგია“ (აქვე უნდა გავიხსენოთ სატელევიზიო გადაცემათა ციკლი „დრო და პრობლემები“!) და განსაკუთრებით — „პიკასო — ფიზიკა. XX საუკუნის აბრაკადაბრა“ ყველა ინტელიგენტის, სტუდენტის, მოსწავლე-ახალგაზრდისათვის წასაკითხი წერილებია, თანაც — აუცილებლად წასაკითხი!

გიზო ზარნაძე

# „თეთრი ნავი“

ლუიზა ბოჩკოვა

„ადამიანო, ვისაც გიყვარს ცაში ყურება, დე, მწვერვალების იყავი მეკვლე!“

ეს სიტყვები ერთბაშად გვაგრძნობინებს აკაკი ვასაძის ლექსთა კრებულის „თეთრი ნავის“ განწყობილებას — წყურვილს სიყვარულისა, ოცნებისა, პირადი ტკივილის და სიხარულის გაზიარებისა.

პოეტურ კრებულს მხატვრულად და შინაარსობრივად კრავს ალტრუისტული იდეა: ჩაახშე ეგოიზმი შენი, იცოცხლე სხვათა ბედნიერებისათვის, მსხვერპლად მიიტანე ყველაფერი მოყვასის, სამშობლოს სასიკეთოდ, კაცობრიობის სასარგებლოდ.

ადამიანი თვითონვე აკეთებს არჩევანს სიკეთესა და ბოროტებას შორის. სიხარულს გვანიჭებს მხოლოდ სიცოცხლე ბრძოლისათვის და ბრძოლა სიცოცხლისათვის. „ვზივარ მდიდარი ნათესავის ნაჩუქარ სავარძელში და ვფიქრობ: თუ მას შეუძლია მაჩუქოს სავარძელი — მე შემიძლია ვიფიქრო სავარძელში“. ვგრძნობთ, რა უცნაური, რა კეთილი, რა რთულია ადამიანი!

ჩვენს წინაა ადამიანის მღელვარე გული. ძლიერი და მართალი: ნუთუ განგებამ კვლავ განსაცდელი ნავის სახებით შემომაპარა? ან იქნებ მართლა გადამაცუროს იმ საოცარი ზღვის სილურჯეში, იქ, — სადაც ცხადად შემომესმება სიტყვა ღვთიურად მოწმენდილი ცის, მაგრამ, ვინ იცის? ნეტავ ვისია ეს თეთრი ნავი, საიდან გაჩნდა ამ დავიწყებულ ვიწრო ყურეში?

ლექსების ციკლში „სიმღერები ლილითს“, გრძნობა დაწურულია, მრავალსიტყვაობას ვერ გუობს, ლირიკული გმირი ლექსებისა, ლილითი ბოლომდე ენიგმად რჩება: ის ისე დადის, როგორც „მერე რა“?! თითქოსდა ტკივილს იგდებს აბუჩად, თითქოს თავის თავს გადაემტერა და უგზოუკვლოდ მიჰყვება ქუჩას.

ლილითი გრძნობს ბედისწერას, მოახლოებულ ნაბიჯებს, მდევარის სუნთქვას, რომელსაც ის თავის მსხვერპლად აურჩევია. ეს არის ტანჯვა და გატაცება, ჩივილი განუხორციელებელ იმედებზე, კაეშანი დაკარგული ბედნიერების გამო, რომელსაც კონკრეტული სახე არ გააჩნია. სიყვარული აქ სევდით საზრდოობს და, თუ არა სევდა, არსებობას ვერ შეინარჩუნებდა.

პოეტს საინტერესოდ აქვს გააზრებული ახალგაზრდა ქალის სამყარო, მისი უჩინარი სადარდებელი, რომელიც მან მარტო, დამოუკიდებლად უნდა დასძლიოს. პრობლემები, რომლებიც პირადად მან უნდა გადაწყვიტოს, სადაც ადამიანი ძალიან ხშირად მარტოდმარტოა: ბედს — უბედობას არვის აბრალებს, — რაა სიცოცხლე? ერთი ბრმა კოცნა! — და მის ლამაზ და მომთვრალო თვალებს, რომც არ გინდოდეს, მაინც დალოცავ, და უბოდიშოდ მოქნილ სხეულით, თითქოს გალოპრილ ნაძვის სურნელი მოაქვს ქუჩებში, ვით მტკივნეული ვნება ჩაკლული და სასურველი. ეს არის გამარჯვების უხილავი ზეიმი არაორდინალური ბუნების პიროვნებისა, რომელიც არასოდეს ხელს არ იღებს კეთილშობილურ საწყისზე, რა რიგ ჩაფლულიც არ უნდა იყოს ვნებებში. იგი გამუდმებით გრძნობს ზნეობრივი კანონის მრისხანე ხმას, უხილავი სამსჯავროს მკაცრ მოწოდებას, რადგან თვით არის თავისი თავის ზნეობრივი კანონი და ულმობელი სამსჯავრო!

ავტორმა გვაგრძნობინა გმირის ხასიათი, მისი ინდივიდუალური ფსიქოლოგია. ლილითის მსგავსნი მტკივნეულად განიცდიან ყველაფერს, მათ სხვებზე მგზნებარედ უყვართ და სძულთ, ეს არის ნატურა, რომელშიც განვითარებულია პასიურიც და ქმედითიც. აფრინდა რა ყველაზე მაღლა, უმოწყალოდ დაეცა და ჩაიფლო ცხოვრების ტალახში, მაგრამ თვით დაცემაც სხვანაირია, სიცოცხლის დაუცხრომელი წყურვილის შედეგია და არა ცხოველური სიხარბისა და ანგარების. სიცოცხლის წყურვილი ისე დიდია, რომ ის მზადაა, წუთის სიხარულისათვის, წუთის თავდავიწყებისათვის გაწიროს მთელი მომავალი. შეიძლება თქვან, რომ არ არსებობენ ასეთები. მაგრამ ცხოვრება რთულია და ჩვენს გვერდით ისინიც არსებობენ. პოეტმა შეამჩნია ეს, ზუსტად წარმოგვისახა, თავისი სახელი უწოდა, ყოველგვარი დიდაქტიკის გარეშე, გამართლებაც მოუძებნა და სინათლის ბილიკიც დაანახა. ხომ არ შეიძლება, პოეზიამ, საზოგადოებამ ჩრდილში დატოვოს ეს ხასიათები!

ლილითი დამსხვრეული იმედების, განუხორციელებელი ოცნებების ფასად ინარჩუნებს თავის „მეს“, რომელიც ჭეშმარიტია როგორც მისწრაფება და საჭოჭმანოა, როგორც განხორციელება!

პოეტს არ უძებნია მასში სრულქმნილების იდეალი, რამდენიმე ზნეობრივი მხარე იპოვა და შეძლო მათი გაგება-დაფასება. ლილითს თანაგრძნობა სწყუროდა, მან კი ბევრი ცალმხრივობა, სიყალბე და ცრუ დაპირება გამოსცადა, რასაც მძიმე გულგატეხილობა მოჰყვა. შეიცნო თავისი მარტივი და მშვენიერი ჭეშმარიტება, დამათრობელი და არა ფანტაზიის ფერად-ფერადი სამკაულებით მორთული. გაიგო, რომ მარადიული და უსასრულო გვევლინება წარმავალსა და სასრულში, რომ იდეა ფაქტებშია, სული კი — სხეულში.

ლილითი — ეს მისწრაფებაა, გარკვეული იდეალისადმი სულიერი ლტოლვაა: მაგ შენს ტანჯვისგან დახეთქილ ტუჩებს მაინც ადაიმის კოცნა სწყუროდა... ლილით, შენ იშვი როგორც სიურჩე შორი სამოთხის საიდუმლოდან!

ეს სტრიქონები ზნეობრივ კანონებთან კონფლიქტში მოყოლილი ადამიანის აღსარებაა, სულის კარნახით დაწერილი. გული მოითხოვს სიმშვიდეს, შესვენებას, თუმცა არც სიცოცხლე შეუძლია მოძრაობის და მღელვარების გარეშე: ახლა, როცა მიაბიჯებ თოვლში, მიუკვლეველ სიყვარულის სევდით, როგორ ჰგავხარ უსახლკარო ბოშას, ვისაც არსად არ უმართლებს ბედი. და გადაღლილ, და განწირულ ღიმილს შეაგებებ თავბრუდამხვევ ბარდნას...

აკაკი ვასაძის პატრიოტულ ლირიკაში, რომელიც კრებულის მეორე ძირითად თემად აღიქმება, მძაფრად იგრძნობა წარსულის ტკივილი, ზედაზენი, არმაზი, ბაგრატი, გელათი, იყალთო ამ ლექსების ეგზოტიკური სამკაულები კი არაა, არამედ კიდევ ერთხელ მიგვახედებს ჭეშმარიტი ერისკაცობისაკენ.

აკაკი ვასაძის ლექსი ერთი შეხედვით უბრალოა, მაგრამ ეს უბრალოება ერთგვარი კონტრაპუნქტია ფარული დრამატიზმისა. არსებითად ამავე მიზანს ემსახურება ლექსის მეტყველების დაახლოება პროზაულ თხრობასთან, შინაგანი, ემოციური რიტმი.

აკაკი ვასაძეს აქამდე მოთხრობებითა და კრიტიკული წერილებით ვიცნობდით, მისი პირველი პოეტური კრებული სასიამოვნო მოულოდნელობა იყო მკითხველისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მშობელ მიწაში მიდგას ფესვები...

## „ნატვრის ხე"

გიორგი ლეონიძის პოეზია გაჯერებულია სამშობლოს, მშობლიური ხალხის, დედისა და სატრფოს სიყვარულით. ამ თემებზე მას შექმნილი აქვს ბევრი შესანიშნავი ლექსი, რომლებიც მუდამ დარჩება ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მის პოეზიაზე, მის გულიდან ამოსულ ლექსებზე, რომელთაც საოცარი ზემოქმედების უნარი გააჩნიათ, დაე თქვან პოეტებმა, მე ორიოდე სიტყვას პროზაზე ვიტყვი.

მევენახეები, გუთნისდედები, ღამის მეხრეები, კალატოზები და დურგლები, აი, მისი შთამაგონებელი გმირები. წიგნი აგებულია ყრმობის შთაბეჭდილებებზე და კიდეც ამიტომ ატარებენ მისი მოთხრობები ზღაპრისა თუ ხილის სურნელებას. გიორგი ლეონიძემ დაგვანახვა, რომ მისი მეზობლები, ღარიბი გლეხები ისევე შთააგონებენ მას, როგორც მისი პოეტური პერსონაჟები.

გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე" ოცნებასავით არის გადაშლილი და აოცებს კაცს. მისი მოთხრობების სიუჟეტი სადაა, ავტობიოგრაფიულიც, მაგრამ ყოველი ფრაზა, ყოველი პასაჟი უაღრესად პოეტური, უაღრესად რეალისტური და ლაკონურია, მისი გმირები — უბრალო ადამიანები — დახატულნი არიან მსუყე ფერებით და რაღაცით ფიროსმანის გმირებს მოგვაგონებენ. ამაღელვებლად არის დახატული უაღრესად გულკეთილი, მაგრამ გაუბედურებული ბერიქალა ფუფალა, რომელსაც წუთისოფელი ოცნებით დაუღამებია და სიბერეშიც ოცნებითა და სიყვარულით სულდგმულობს.

დაუვიწყარია ტრაგიკული ბედი მეეტლე იაგორასი. მან სოფელი მიატოვა, ქალაქში წავიდა, ეტლი გაიჩინა და მთელი სიცოცხლე იქ გაატარა, იქ დაბერდა. ბოლოს ცოლი მოუკვდა, ცხენებიც დაეხოცა, 1914 წლის ომმა ქვეყანა გაატიალა, იაგორა თითქოს მიწამ მოიკითხაო, სოფელს დაუბრუნდა, ერთხანს მონატრებული სოფლით გაიხარა, მაგრამ ისევ შეჩვეულ ქალაქზე დაიწყო დარდი და ამ დარდს გადაჰყვა კიდეც: ეს უბრალო ამბავი ისე პოეტურად, ისეთი გულში ჩამწვდომი ოსტატობით, ისეთი გრძნობითაა გადმოცემული, რომ აღტაცებაში მოდიხარ.

მიუხედავად იმისა, რომ ძუნწი და გულღრძო ადამიანის თემა უცხო არ არის ლიტერატურაში, გიორგი ლეონიძეს მაინც ისე აქვს გადმოცემული ხარბი ხვედიას სახე რაღაც გვერდნახევრიან მოთხრობაში, რომ წაიკითხავთ და სული დაგიმძიმდებათ.

სამაგიეროდ, როგორი ამაღლებული ადამიანია სამოცი წლის განმავლობაში მიწას ჩაჩერებული გუთნისდედა ნინია, „რომელსაც არასოდეს უნატრია სიმდიდრე, მხოლოდ თავისი პურის ხვავით იყო მადლიერი".

ნინია სიკვდილსაც უმტკივნეულოდ ხვდება, რადგან იცის, თან არავისი საყვედური არ მისდევს. სიკვდილის წინ ერთი რამ ინატრა: „მინდორს გადამახედეთო".

„ორივე შვილი მხარში შეუდგა და მოწიწებით აივანზე გაიყვანეს... ნინიამ ზვგარდიდან დახედა სავსე მინდორს, ხარბად თვალი შემოატარა, გულცქერით შესაყვარლად ამრეშებული ყანები, ამოხეთქილი ბურღალი ბალახი"...

რომელ მოთხრობაზე გინდათ შეაჩეროთ ყურადღება, რომ არ შეგძრათ მან თავისი სიმართლით, სისადავით, ოსტატობითა და უშუალობით. მთლიანად კრებული „ნატვრის ხე" საოცარი სახეებით ამდიდრებს ქართულ ლიტერატურას. მისი ავტორი არის სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატი.

გოგლა ლეონიძემ ქართულ ლიტერატურაში დარგო „ნატვრის ხე" და იგი ისეა ამართული, როგორც ნამდვილი მშვენება.

„ჩემი შრომის მაგალითი ჯერ ფუტკარი იყო, მერე დედაჩემი და სოფლის ხალხი" — წერს გოგლა ლეონიძე. და მართლაც, მან სწორედაც რომ უდიდესი შრომის შედეგად დაგვიტოვა ასეთი ხელხვავიანი შემოქმედება, ისეთი დიდებული წიგნი, როგორიც „ნატვრის ხეა".

**დემნა შენგელაია**

## ნათელი ხსოვნა

დაიბადებიან ხოლმე ადამიანები, რომლებიც სილამაზესა და სიხარულს მატებენ თავიანთ ქვეყანას; სილამაზესა და სიხარულს მატებენ თავიანთი ტალანტით, თავიანთი ადამიანობით. ისინი მიმზიდველს ხდიან ჩვენს გარემოს, ხალისი და ნათელი შემოაქვთ ჩვენს ცხოვრებაში.

ასეთი იყო გიორგი ლეონიძე.

გიორგი ლეონიძის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე ქართული საბჭოთა ლიტერატურა. მისი პოეზია საოცრად გულწრფელი და თვითმყოფადია. გულწრფელი და ძლიერია მისი სიყვარული სამშობლოსა და მშობლიური ხალხის მიმართ. გიორგი ლეონიძეს რაღაც განსაკუთრებული სიხარბით უყვარდა ქართული მრავალჭირნახული მიწა, რომელთან ჭიდილშიც ქართველ კაცს დღე და ღამე უსწორებია, ხარბად უყვარდა საქართველოს ისტორია თუ კულტურა და მისი ერთ-ერთი ბრწყინვალე მცოდნეც იყო.

გიორგი ლეონიძის პოეზია და შესანიშნავი პროზა მუდამ სულიერ საგზლად ექნება ქართველ კაცს.

გიორგი ლეონიძე, გარდა იმისა, რომ დიდებული შემოქმედი იყო, ამასთან ერთად იყო მომხიბლავი პიროვნებაც. გარეგნული ახოვანება, სიკეთე და უშუალობა კიდევ უფრო აკეთილშობილებდა და ალამაზებდა მას. „ლეონიძე კოხტა ბიჭო, შენ გენაცვალეო!" — წამოიძახებდა ხოლმე ხანდახან იგი მეგობართა წრეში. ამას, რაღა თქმა უნდა, ხუმრობით ამბობდა, მაგრამ, ალბათ, თვითონაც გრძნობდა ამ სიტყვების სიმართლეს.

გოგლას რაღაც განსაკუთრებული სინაზით უყვარდა დედა. ადრე დაქვრივებულმა დედამისმა შავი კაბის კალთით გამოზარდა ხუთი შვილი, ყველას შესანიშნავი სწავლა-განათლება მიაღებინა. გოგლას ხშირად ჩამოჰყავდა თავისთან დედა, სულ შავებით იყო ხოლმე მოსილი, მუდამ სიტყვაძვირი მახსოვს. გოგლა მას პირდაპირ თავს ევლებოდა. დედა რომ გარდაიცვალა, გოგლამ მე და შალვა აფხაიძე წაგვიყვანა პატარძეულში. დიდხანს გვატარა სასაფლაოზე, გვეუბნებოდა, ისეთი ადგილი მინდა შევარჩიო, სადაც გამუდმებით იქროლებს ნელი სიო, ეგრე მგონია, ასე რაღაც შვებას იგრძნობსო. დაკრძალვის დღეს ნამდვილი ბავშვივით ტიროდა. დედის ხსოვნას მიუძღვნა გოგლამ თავისი შესანიშნავი წიგნი „ნატვრის ხე". რა სინაზით და სიყვარულითაა დაწერილი ავტორის წინათქმა:

„დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო! — ასე იტყოდნენ ჩემს ყრმობაში.

ჩემი სოფლის ტყის პირებში ყოველ გაზაფხულზე ია ბლუჭეულად ამოდიოდა, არემარე სულ ლურჯად გადაიბურებოდა ხოლმე.

მეგონა, მთელი ქვეყნის დედებს აქ ეტირნათ, იმდენი ია ამოსულიყო ჩემი სოფლის მშვენიერ მიდამოებში.

ძალზე მიკვირდა და თან სათუთად ვკრეფდი იებს, მე ხომ თვითეული ია დედის ცრემლი მეგონა!

— უჰ, რამდენი უტირნია დედაჩემს! — ქვრივი დედა მყავდა, შავკაბიანი.

იის სიყვარული დედამ შთამაგონა, იასავით სპეტაკი ადამიანი იყო.

თვითონაც ხომ პირველი იების მოსვლის დღეებში გაგვშორდა.

ეს პატარა წიგნი გამთბარია იმ პირველი იების სურნელით და ცხოვრების იმ შეგნებით, რომ ია მხოლოდ დედის ცრემლის ნაწვეთალზე ამოდის.

ამ წიგნს ვუძღვნი ძვირფას დედას, რომელმაც მასწავლა იების სისპეტაკისა და მშობლიური მიწის სიყვარული".

ბევრი ლექსი აქვს გოგლას დედისადმი მიძღვნილი, მაგრამ მე განსაკუთრებით მიყვარს მისი ერთი პატარა, ძალზე ინტიმური ლექსი:

ვხედავ: პატარა ბაღჩაში
ფუსფუსებს ჩემი მშობელი
გადაკვალთული კალთებით,
დღე-ღამე მოსაქმობელი,
წინსაფარში რომ უწყვია
ბოსტნეული და კვერცხები,
მამაპაპური კერისა
ყოველდღე მომნაკვერცხლები...
თან რომ ჭიკჭიკით დასდევენ
შოშიები და მერცხლები.

გიორგი ლეონიძეს მშობლიური სიყვარულით უყვარდა თავისი სოფელი და თანასოფლელები. როგორი გადაუდებელი საქმეც არ უნდა ჰქონოდა, ქალაქში მასთან ჩამოსულ თანასოფლელებისათვის ყოველთვის მოიცლიდა, გაჭირვებაში ხელი რომ გაემართა, ანდა ლაზათიანად მოელხინა მათთან.

გოგლამ უღალატო მეგობრობაც იცოდა და სილამაზით გულწრფელი აღტაცებაც. სიცოცხლის ნამდვილი ტრფიალი იყო.

ოცდაათიან წლებში დავით კლდიაშვილისათვის იუბილე უნდა გადაეხადათ. შინაურებმა ვერა და ვერ დავიყოლიეთ დავითი საიუბილეოდ თბილისში ჩამოსულიყო. მაშინ თბილისიდან საგანგებოდ ჩამოვიდნენ ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე, შალვა აფხაიძე, შალვა დადიანი, დავით სულიაშვილი.

სიმონეთის სკოლის მასწავლებლებმაც საპატიო სტუმრებს შეხვედრა გაუმართეს. ვახშამზე ესწრებოდა ერთი მშვენიერი გარეგნობის, უაღრესად სათნო ახალგაზრდა მასწავლებელი. გოგლა მოიხიბლა. მთელი საღამო ენამზეობდა, ბოლოს დიდებული ექსპრომტი მიუძღვნა იმ გოგონას. სამწუხაროდ, ეს ლექსი არსად არ მინახავს დაბეჭდილი და არც მე მახსოვს ზეპირად. ვინ იცის, რამდენი ამისთანა მშვენიერი ექსპრომტი დაკარგულა!

ერთხელ გერონტი ქიქოძე, შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი და გიორგი ლეონიძე უნდა გვწვეოდნენ სიმონეთში. გოგლას გარდა სამივე გვესტუმრა, გოგლას ჩამოუსვლელობის მიზეზი არც ერთმა არ იცოდა. ღამე სტუმრებმა აივანზე მოისურვეს მოსვენება. შუაღამე გადასული იქნებოდა, რომ ჭიშკრიდან მესმის გოგლას ბუხუნი. ყურებს არ დავუჯერე. გავხედე, ვხედავ, ნამდვილად გოგლა და ერთი მილიციელი მოსდგომია ჭიშკარს. ზესტაფონიდან გოგლა საბარგო მანქანით რის ვაივაგლახით ამოსულიყო ჩხარში, იქიდან კი მილიციელი გამოეყოლებინა ფეხით კარგა შვიდ-რვა კილომეტრის სავალზე. გოგლამ სუფრა ეზოში გაგვაშლევინა, ხელახლა გაჩაღდა ლხინი... არც გოგლამ და არც მილიციელმა სიმღერა არ იცოდნენ, მაგრამ მაინც დიდი მონდომებით უწყობდნენ ერთმანეთს ხმას. უეცრად აივანზე მოჩვენებასავით ნამძინარევი შალვა დადიანი გადმოდგა და გადმოგვძახა: — ბატონებო, ვინა ხართ, დაგვაძინეთ, ამ შუაღამისას რა დროს სიმღერაა!

გოგლამ მთელი ღამე გაათენა, გატაცებით ლაპარაკობდა სიცოცხლის სიტკბოებაზე, პოეზიაზე, მშვენიერებაზე.

და რა დასანანი იყო სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული ადამიანის ნაადრევად წასვლა ამ ქვეყნიდან. ჩვენ მისი სახით დავკარგეთ დიდი პოეტი და პროზაიკოსი, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი. გოგლა, უეჭველია, მრავალი შედევრით გაამდიდრებდა ქართულ ლიტერატურას.

ამიტომ დაიტირა ქართველმა ხალხმა მწუხარებით დიდებული პოეტი და ბრწყინვალე ადამიანი. ამიტომაც არის, რომ 80 წლისთავზე დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ვიხსენებთ მის შემოქმედებასა თუ ადამიანურ ღირსებებს.

არ შემიძლია მეც სიყვარულით და ულრმესი პატივისცემით არ გავიხსენო ყველა ის დღე და წუთი, რომელიც მასთან მაკავშირებდა.

**სერგო კლდიაშვილი**



## მარად მწყურვალე სული

ბევრჯერ მიფიქრია, რომ გიორგი ლეონიძის პოეზიის არაჩვეულებრივი ძალა და მომხიბვლელობა მთელი სისავსით ჯერ კიდევ არ წარმოჩენილა მკითხველის წინაშე. ავტორის სიცოცხლეში, მისი უდიდესი ლირიკა თითქმის არ შესულა ტომეულებში და, ცალკეულ, დღეისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომ ჟურნალ-გაზეთებში იყო გაფანტული. ამ ლექსებში მანამდე არნახული, მოუთოკავი ენერგია, „პამირების ბურში მყვირალი", ბწკალებდალესილი ვეფხვის ჟინი ტრიალებს.

ახალ ერთტომეულში, პოეტის ქალიშვილებმა რომ შეადგინეს, ადრინდელი ლექსები უხვად არის წარმოდგენილი და პოეზიის მოყვარულთ მალე საშუალება მიეცემათ გიორგი ლეონიძის შემოქმედებას თავიდან ბოლომდე გაადევნონ თვალი, იგრძნონ მისი „მუხლადი", „დატაროებული სიტყვების" მადლი და სურნელი, ალაზანზე შეფრთხიალებული ხოხბის ფეროვნება.

ამას წინათ ოციანი წლების გადაყვითლებულ გაზეთებს ვათვალიერებდი; უმალ მიმიზიდა გიორგი ლეონიძის გვარმა. პოემა ჰქონდა განზრახული 1912 წელს კახეთში მოკლულ განთქმულ ყაჩაღზე. მცირე ნაწყვეტი, საზანდარის ხმას შეწყობილი, გაზეთში გამოექვეყნებინა. ერთმა ადგილმა გამაოგნა; ამგვარი ხილვა, ასეთი უცნაური ქართული სურათი მხოლოდ გიორგი ლეონიძის წარმოსახვაში შეიძლებოდა გაჩენილიყო:

საქახეთურო ლოლუბელო,
სამგორის ადუღლი ვარდები...
მთვარე, ორში დაწექი,
ქალმახებს შეუყვარდები.

ვისთვისაც ახლობელი და გასაგებია პოეზიის ენა, იგი მიხვდება და დაინახავს, რა სილამაზეც დგას ამ სიტყვების მიღმა.

ახლახან „მერანმა" კულტურის სამინისტროს და ლიტერატურის მუზეუმის გრიფით გამოსცა პროფესორ ივანე ლოლაშვილის საყურადღებო, არაერთი საინტერესო მასალის შემცველი წიგნი „ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან". წიგნის ერთი თავი პოემა „სამგორის" დაწერისა და გამოქვეყნების ისტორიას მოგვითხრობს. ამ თავის წაკითხვა გვარწმუნებს, რომ საჭიროა „სამგორის" ვარიანტებიანი გამოცემა, რათა გამოჩნდეს, თუ რა ინტენსიური მუშაობა გაუწევია ავტორს ამ ძალზე მნიშვნელოვან ნაწარმოებზე. დასანანია, რომ შესწორების დროს, მიზეზთა გამო, პოეტს ამოუღია ერთი ადგილი, რომელიც ეროვნულ ხასიათებითა და კოლორიტით აღსავსე მრავალპლანიან ეპიკურ ქმნილებას კიდევ უფრო დაამშვენებდა:

ნაწნავები, ნაწნავები...
ღვინის თასში ჩასაყრელი,
დასაფენი მფეთქავ გულზე,
სულზე ვარდად დასახვევი...
ნაწნავები, ნაწნავები...
შემოწნული სურა ყელზე,
როგორც გიშრის შუაღამე
მოხვეული მყინვარწვერზე.

თუ პოეტის ნათქვამს მეტისმეტად პირდაპირ, ნატურალისტურად არ გაიგებ, ამგვარი სტრიქონების ხელაღებით დაწუნება გაუმართლებელია. საერთოდ, გიორგი ლეონიძე სიცოცხლის ბოლომდე უკმაყოფილო იყო, რომ „სამგორი" — მისი საყვარელი პოემა, — სათანადოდ არ იყო შეფასებული. ჩვენმა ლიტერატურულმა კრიტიკამ ეს ფაქტი უნდა გაითვალისწინოს.

ღრმა ანალიზს და ღირსეულ შეფასებას მოელის გიორგი ლეონიძის მართლაც თვითმყოფადი, ყველასაგან გამორჩეული პროზა. კრიტიკას რატომღაც შეუმჩნეველი დარჩა მისი ბრწყინვალე მოთხრობა „ესტატე ლაფაჩის ამბავი", რომელიც პოეტის დიდი ტალანტის მძლავრი ალმავლობის ჟამს, 1928 წელს არის დაწერილი და „ნატვრის ხეს" ბევრი რამით ენათესავება. ასევე ძალზე საყურადღებოა პროლოგი განუხორციელებელი რომანისა „პატარა ტამალია", რომლის ყოველი სტრიქონი ახლად აყვავებული ნუშის სურნელით სუნთქავს.

როცა სოფლიდან გარიდებულ, ნახევრად გაველურებულ ქაცზე წაიკითხავ: „მისი წილი იონჯა ორ დღეს გონზე ვერ მოდიოდა".. ანდა ასეთ ფრაზას წააწყდები: „აპრილში ორსაგულს დინგის ქავილი აუტყდება"... — ამას ჩვეულებრივი ან მხოლოდ ლირიკული პროზის საზომებით ვერ მიუდგები. ეს რაღაც სხვაა, ზებუნებრივი. გიორგი ლეონიძის პოეტური აზროვნებისა და მეტყველების ჩასახვედრად აუცილებელია გაცნობა და შესწავლა იმ გარემოსი, სადაც თვითონ იზრდებოდა.

წიგნის გარდა, ერთი დაუშრეტელი წყაროც ასაზრდოებდა მის მარად მწყურვალე სულს. ვინ იცის, ბიჭობაში, რამდენი ღამე უთევია ივრის პირას, ღია ცის ქვეშ, მეწისქვილეებთან და მწყემსებთან ერთად, რამდენი ლექსი და თქმულება მოუსმენია, რა ხარბად დაწაფებია ხალხურ გენიას, რათა მის სიტყვას არასოდეს გამოლეოდა ღონე და სინედლე და სიკვდილის შემდეგაც წყვდიადში მოხვედრილი სანთლის შუქივით გაძლიერებულიყო.

**ემზარ კვიტაიშვილი**

## დიდი მზის ჭაშნაგირი

რასაც ახლა წაიკითხავთ, მოგონებანია, უსიუჟეტო და უკომპოზიციო, მაგრამ მძაფრად განცდილი თავის დროზე და გულზე ნაბამი დღესაც.

სამოციან წლებში ერთ პოპულარულ გამომცემლობაში მომიხდა მუშაობა. ეს გამომცემლობა სხვა ასეთივე დაწესებულებებით იყო გარემოცული.

გამომცემლობების საქმიანობანი, ამას თქმაც არ უნდა, საათებივით არის აწყობილი, მაგრამ ხანდახან, თითქოსდა იქაურ მუშაკთა ერთფეროვანი ყოფის წუთიერი გაბრწყინების მიზნით, მაინც გამოტყვრებოდა ხოლმე კურიოზები. მახსენდება, ერთ დირექტორს შემოღებული ჰქონდა, — თვით რამდენჯერმე გამოცემული ნაწარმოებიც კი სარეცენზიოდ უნდა გადასცემოდა რომელიმე ლიტერატორს, ამას წერილობითი რეცენზია-დასკვნა უნდა წარმოედგინა ამ მრავალჯერ გამოცემულ წიგნზე (ეს ნოვატორული მეთოდი, ვგონებ, ფართოდ გამოიყენება დღესაც) და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებდნენ სარედაქციო მუშაობას.

1966 წლის ივნისის ერთ ნაშუადღევს, დაახლოებით ოთხ საათზე, ჩვენი გამომცემლობის ცუდად ჩაბნელებულ და დაცარიელებულ დერეფანში მონუმენტივით მდგარი ბატონი გიორგი დავინახე. იდგა და, თითქოს იმ სიბნელითა და სიცარიელით შეწუხებულს, ველარ გადაეწყვიტა, სით წასულიყო. მივეახლე და ჩემი სამსახური შევთავაზე. ბატონმა გიორგიმ რაღაც უჩვეულო მშრალი ხმით მკითხა, — მთავარი რედაქტორი რომელ ოთახში ზისო. გავყევი და ვაჩვენე. მოდი აქაო, — ოთახში მეც შემიყვანა. ბატონმა გიორგიმ მთავარ რედაქტორს უთხრა: მე ლეონიძე ვარ, ჩემი პოემა „სამგორი" მაქვს წარმოდგენილი თქვენთან გამოსაცემად და რას უპირებთო. მთავარმა რედაქტორმა მოახსენა: სარეცენზიოდ გვაქვს გადაცემული მავან და მავან პოეტისთვის (არ მინდა ამ პოეტის გვარის გათქმა, ისე კი ვიტყვი, რომ გაუჭირდება ლეონიძის მუხლამდე აწვდენაც კი); წარმოგვიდგენს იგი რეცენზია-დასკვნას და მაშინ მოგახსენებთ ზუსტ პასუხსო. ბატონი გიორგი შეცბა: ეგ პოემა რამდენჯერმეა დაბეჭდილი, თარგმნილიც კია, რაღა დროს მაგისი რეცენზირებააო. მთავარმა რედაქტორმა მორიდებულად, მაგრამ მტკიცედ მოსჭრა: ჩვენს გამომცემლობაში ასეთი წესიაო. ბატონმა გიორგიმ ერთი კი შეხედა, გამოვიდა ოთახიდან და გარეთ მიაფურთხა ეშმაკს: — რა სისულელეს აღარ მოისმენს ადამიანის ყურიო. ისეთი სევდიანი იყო, თითქოს ერთი სასოწარკვეთით ჩაესუნთქა, გაევსო მკერდი ჰაერით და იმ ჰაერის ამოღებას აღარ აპირებდა. მაინც წამომდო ალერსით ხელი, — ხომა სწერ, შენ ჩემი ფალავანი ხარ, არ შემარცხვინო! შენს სოფელზე წერე, შენს ნაცნობ სოფლელებზე. ის მოთხრობა არ მომწონს შენი, გოგოზე როა (მივხვდი, მხედველობაში ჰქონდა „ვილაცას ავტობუსზე აგვიანდება"), არ გვინდა ეგეთი რამეები. ნახავთ ერთ მემანქანე გოგოს და დაიწყებთ იმისგან მარგარიტა გოტიეს კეთებას. თან გინდა ეგეთი რამეებიო. თან მელაპარაკებოდა, თან შეფიქრიანებული ათვალიერებდა დერეფნის ბინდსა და სიცარიელეს. მე შევთავაზე, — იმ რეცენზენტად გამოუყოფილ პოეტთან წავალ და გაგიგებთ პოემის ამბავს-მეთქი. მაგრამ იუარა, — არა, რას ამბობო, და წავიდა. დაბლა მანქანა უცდიდა.

სამიოდე დღის შემდეგ კიდევ ვნახე— მწერალთა კავშირის შესასვლელში. დამიძახა, მიმიახლოვა და მითხრა: — ხომ არ გეწყინა, ის გოგოზე დაწერილი მოთხრობა რომ დაგიწუნე. არ გეწყინოს, მამის ტოლა კაცი ვარ, იქნება სწორიც არა ვარ, მაგრამ ჩემი ხნის კაცისაგან არ უნდა გეწყინოს. წერე, ბევრი წერე და რაზედაც გინდა, იმაზე წერეო. ისევ რაღაც უჩვეულოდ სევდიანი იყო, ისევ მიზურანებულივით წავიდა. მეტად აღარ მინახავს. იმ საშინელ ცხელ ზაფხულში სამუდამოდ გაჰყვა „დედასთან მიმავალ მზეს".

როცა ამ უკანასკნელ გზაზე მივაცილებდით, იქაც კი ბევრი ლაპარაკი იყო ლეონიძის შემოქმედების ადგილზე ლიტერატურულ სამყაროში. ერთნი — ამათ განვაკუთვნებ „სუპერ-ინტელექტუალური" პოეზიის შორეულ ამსარებლებს, — მის ლექსებსა და მოთხრობებს არ აძლევდნენ ადგილს თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურული სტანდარტების გვერდით. ეს გასაკვირიც არაა — მათ მშობლიური არაფერი სწამთ. მეორენი — ეროვნული საწყისებიდან ამომდინარენი — ეწეოდნენ განუზომლად მაღლა, იმდენად მაღლა, რომ იქიდან ძლივსღა მოჩანდა ჩვენი პოეზიის სხვა მწვერვალები. მესამენი — უფრო ფრთხილნი, წონასწორობის დაცვის მოყვარულნი — იძლეოდნენ შედარებით უმტკივნეულო შეფასებას: — გიორგი ლეონიძე მხოლოდ გიორგი ლეონიძეა, ის არის შეუცვლელი ერთეული, და სწორედ ესაა მისი დამსახურებაო.

ყველა ამათ მე შევაგებებდი კიდევ ერთ განსაზღვრებას: — გიორგი ლეონიძე — დიდი მზის ქართველი ჭაშნაგირი, რომელსაც გასაშმაგებელი სისრულით ჰქონდა შეცნობილი... საგანთა გემო.

ამ განსაზღვრებაში სიტყვათა უკანასკნელი დაწყვილება ეკუთვნის იაპონელ პოეტს ისიკავა ტაკუბოკუს. იგი წერს:

თუკი მკითხავენ, რა არისო,
ჭმუნვა, ნაღველი,
მე ვუპასუხებ — რომ ესაა
საგანთა გემო.

ტაკუბოკუს, ტუბერკულოზით ავადმყოფს, ამ ქვეყნიდან მალე წამსვლელი კაცის ფიქრებით შეპყრობილს, მძიმე ნაღველს ჰგვრიდა ეს საგანთა გემო. გიორგი ლეონიძეს, ჯანმაგარ პატარძეულელთა ცისფერთვალა ნაშიერს — სიხარულს. 1947 წლის დეკემბრის ერთ თოვლჭყაპიან დღეს მწერალთა სახლის მეორე სართულის ერთ კუთხეში ვიდექი და სიმონ წვერავას ველოდებოდი. ჰოლში, სავარძლებში, სხვადასხვა ასაკის და თავდაჭერის მწერლები ისხდნენ. ერთ მათგანს ვიცნობდი კიდეც — ეს იყო სერგო კლდიაშვილი. უცებ დაბლა რაღაც ყრუ ხმაური ატყდა, მერე კიბეს ამოუყვა ძლიერი ფეხის ხმა, და ამოვიდა ვეება ვაჟკაცი — კრაველის რუხქუდიანი, მშვენიერ ახალ პალტოში გამოწყობილი, სისალისა და სილაღის ალმურავარდნილი. ამოვაკებულმა კიდევ უფრო მძლავრად დააბაგუნა ფეხი და მწერლებისკენ წამოსულმა, ბუბუნა ხმით დაიძახა:

— მოვედი პოეზიის მარშალი! გენერლებო, სმენა, თოვს, რას ჩამოგტირით ცხვირ-პირიო.

ეს იყო ბატონი გიორგი. მხოლოდ მას შეეძლო ესევითარი რიხიანი სიხარულით შეჰგებებოდა ბუნების ჩვეულებრივ მოვლენას — თოვას.

დაუკვირდით, როგორ ირთის სისავსით, რა შუქით არის გარემოცული მის მიერ შემოთავაზებული თოვლიც, წვიმაც, ბროწეულებიც, ყანაც, ღამეც, ზამბახებიც, მგლებიც, ირმებიც, კამეჩებიც, ხეებიც... და ყველაფერი, რასაც ქვეყნიერება ჰქვია.

მოსაღამოვდა,
ხევად მგლები დაისხდნენ
მაღლადა,
ლურჯმას ხლეჩავენ
დამქლავებითა,
ღვინიან ჯამში ზამბახივით
მთვარე ჩავარდა,
ივსება ზეცა ვარსკვლავებითა.

ნიმუშების მოტანას რომ გავყვეთ, მთელი წიგნების ამოწერა დაგვჭირდება, როგორც პოეზიისა, ისე პროზისა. ერთი კი მაინც უნდა ითქვას დასკვნასავით: იგი, ბატონი გიორგი, თითქოსდა ყველაფერს სუფთა, მძლავრ ხელისგულზე იდებდა, ეწეოდა მაღლა; აქედან ის უყურებდა საგანს თავისი გიზგიზა თვალებით, იქიდან — მზე, და აღტაცებული იყო ერთიცა და მეორეც, ლეონიძეც და მზეც, რომ ქვეყანაზე საგანი იგი არსებობდა ესეთად.

1966 წელს ცხელი ზაფხულის ზემოთნახსენებ დღეებში უთუოდ იწყებოდა ჩვენთვის იდუმალი მეტამორფოზა — მზე იპატიჟებდა თავის დიდ ჭაშნაგირს ჩვენი გონებისთვალის სამზერის მიღმა. გამომცემლობის დერეფნისა და მწერალთა სახლის შესასვლელის ჩანავლიანებულ ბინდსა და სიცარიელეში რაღაც ილანდებოდა ამ შეუცნობადი სამყაროს ელფერისა. დიდი ჭაშნაგირი იდგა ფიქრიანი და ჰაერს მიდარაჯებული ბერავდა ნესტოებს. ბოლოს იგი გაბედულად გაჰყვა მზის გზას.

მე ასე მგონია, მე ასე მჯერა...

მაგრამ მაინც საყვედურით ვავსებ ხოლმე ჩემს ბედს — რატომ გამხადა იმ წუთების ესოდენ მარტოეული, ესოდენ ახლომზირალი მოწმე.

**რევაზ ინანიშვილი**

## პოეტის საიუბილეო საღამო

19 მაისს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა გრიგოლ აბაშიძემ.

სიტყვა გიორგი ლეონიძეზე წარმოთქვა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა გიორგი ციციშვილმა.

სსრკ მწერალთა კავშირის სახელით გამოვიდა პოეტი ალექსანდრე მეჟიროვი, რომელმაც წაიკითხა გიორგი ლეონიძის ლექსების ტიხონოვისა და პასტერნაკისეული თარგმანები.

სიტყვით გამოვიდნენ პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი მედეა მეზვრიშვილი, უკრაინელი პოეტი ვ. კოროტიჩი, სომეხი პოეტი ს. ოვანესიანი, აფხაზი პოეტი გ. გუბლია, აკადემიკოსი შ. ძიძიგური.

საიუბილეო საღამოზე წაიკითხეს ცნობილი უკრაინელი პოეტის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის მიკოლა ბაჟანის და სსრკ სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის დეპეშები.

გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა კ. კალაძემ, ი. ნონეშვილმა, ა. სულაკაურმა, ჯ. ჩარკვიანმა, ფ. ხალვაშმა. რუსმა პოეტმა მ. სინელნიკოვმა დამსწრეთ გააცნო გიორგი ლეონიძის ლექსთა საკუთარი თარგმანები.

საიუბილეო საღამოს ესწრებოდნენ ამხანაგები პ. გილაშვილი, გ. ენუქიძე, თ. მენთეშაშვილი, ს. ხაბეიშვილი, თ. მოსაშვილი.

## პოეტი — მეგობარი



ცოცხლად შემოინახა ჩვენმა ოჯახმა მამაჩემის — სანდრო შანშიაშვილისა და გიორგი ლეონიძის მეგობრობის ძვირფასი ფურცლები. ძია გოგლა მამაჩემს უფროს ძმას ეძახდა, მწერლობაში ფეხის ადგმას მამას უმადლოდა. მამასაც ღვიძლ ძმასავით უყვარდა...

მიუხედავად ასაკობრივი განსხვავებისა, მამაჩემი და ძია გოგლა საოცრად შეხმატკბილებული და შეამხანაგებულნი იყვნენ, მამაჩემის აზრს ანგარიშს უწევდა. გიორგი ლეონიძე ჭაბუკი ყოფილა, როდესაც პირველი ლექსები მამაჩემისთვის მიუტანია. მამას მოწონებია და დაუბეჭდავს გაზეთ „საქართველოში", რომლის რედაქტორი თვითონ იყო. აი, რას წერს ამის შესახებ ძია გოგლა:

„...სანდროს ძმური ამაგი აქვს ჩემზე გაწეული, 1913-1916 წლებში სრულიად ახალგაზრდას ლექსებს მიბეჭდავდა, მაქეზებდა, მახალისებდა, ჩემი პოეზიის აკვანთან იდგა".

აქედან დაიწყო მათი სიახლოვე, რომელიც შემდეგ ოჯახების მეიდრო მეგობრობაში გადავიდა.

ძია გოგლა დღეს არ გააცდენდა, განსაკუთრებით დღესასწაულებზე, რომ მამაჩემი არ ენახა. ახალ წელს ხომ იგი ჩვენი ოჯახის პირველი მეკვლე იყო. მამას გადაეხვეოდა, მიულოცავდა, ყველას გულში ჩაგვიკრავდა. შვილებივით ვუყვარდით მე და ჩემი და ცისია. ძია გოგლა ჩემი ნათლია იყო. ამის შესახებ მამას ჩემთვის უამბნია: „ჩემი პირის სახელი „ლატავრა" გოგლამ შემირჩია, შემდეგ შენ დაიბადე, გოგლამ მოგნათლა და ლატავრა დაგარქვა". ასევე შვილებივით უყვარდათ ჩემს მშობლებს ძია გოგლას ქალიშვილები ნესტანი და თინათინი. 1930 წელს თინათინს და ნესტანს მამამ ლექსი უძღვნა:

ჩვენი ცელქი გოგო,
ქრულთვალება თინა
ჩაუსაფრდა ნესტანს,
უცბად შეაშინა.
გაიღვიძებს ადრე,
ატიკტიკებს ენას;
ჩაიცმევს და გარეთ
სწრაფად იწყებს რბენას.
დაემალა ნესტანს,
ეგონათ თუ სძინავს,
თურმე ის კი ბაღში
დარბის, თითქოს ფრინავს!

ეხლა, როდესაც ვფურცლავ მამაჩემისადმი ნაჩუქარ გიორგი ლეონიძის წიგნებს, ვკითხულობ მის თბილ წარწერებს და წერილებს, იგი ცოცხლად მეხატება. „ჩემს ძმას სანდროს, ჩემს დას მაროს, მარადი ურყევი ძმობით"; „არ დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა"... ყოველ წარწერაში, ყოველ წერილში გამოხატულია ძია გოგლას დიდი სიყვარული მამაჩემისადმი.

1963 წლის ზაფხულში ჩემი მშობლები ქობულეთში ისვენებდნენ. ეს იყო დედაჩემის სიცოცხლის უკანასკნელი წელი. სწორედ ამ დროს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" ძია გოგლამ მამაჩემს მიუძღვნა შესანიშნავი წერილი, გაზეთი ფოსტით ქობულეთში გამოგზავნა: „ჩემო ძმაო სანდრო და დაო მარო, გიგზავნით გაზეთს, რომელშიც მოთავსებულია ჩემი წერილი სანდროზე. გეხვევით, გკოცნით, მალე განახავთ — თქვენი გოგლა".

„იშვიათია ჩვენს მწერლობაში ისეთი ნაყოფიერი, ხვავიანი მწერალი, როგორიც არის სანდრო შანშიაშვილი. იგი მართლაც მოსავალგაუცდენელია. სანდროს უსაუბრია ილიასთან, აკაკისთან. სანდროს შვილივით უყვარდათ ვაჟა-ფშაველას, იროდიონ ევდოშვილს, კოტე მაყაშვილს. ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი — მისი განუყრელი ძმობილები იყვნენ. ძველი პოეტებიდან მხოლოდ მასთან ჰქონდათ შეერთება და შეძმობილება. ქართული პოეზიის პატრიარქის ტახტი სანდროს ეკუთვნის და არა მარტო ხნოვანებით, დიდი, მრავალმხრივი, ხელმარჯვიანი და ხანგრძლივი პოეტური, მწერლური მოღვაწეობა ანიჭებს მას პატრიარქის კვერთხს!"

გიორგი ლეონიძემ შეარქვა მამაჩემს პატრიარქი. მას ქიზიყის ჰომეროსს ეძახდა.

„ქიზიყის ჰომეროსო, — სწერს იგი, — ჩამოდი უთუოდ. ამ კაცმა ტიციანის მისამართი არ იცის, რომ უარი მოგვიტანოს. ამიტომ კარგად ხარ თუ ცუდად, ეხლავე უნდა ჩამოხვიდე ტიციანთან, უშენოდ არ ვსხდებით!"

გიორგი ლეონიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, შალვა აფხაიძე, ილო მოსაშვილი, ალექსანდრე ქუთათელი, მამაჩემი მუდამ ერთად იყვნენ. სუფრა სუფრად არ ითვლებოდა, თუ რომელიმე მათგანი დააკლდებოდა. „მაგრამ ეს მარტო ღვინის ხმა როდი იყო, შვილო, — მეტყოდა მამაჩემი, — ეს იყო თავშეყრა მწერლებისა ლიტერატურული პაექრობისთვის"..

სწორედ ამასთან არის დაკავშირებული ძია გოგლას ერთი წერილი მამაჩემისადმი. „სანდრო, რატომ დამღალატე? გუშინ რატომ არ შემოიარე? უშენოდ გემო არ ჰქონდა არაფერს. ეხლა გთხოვ საჩქაროდ ჩამოხვიდე ჩვენთან, ყველანი გელით ახალი ლექსებით, გელით აუცილებლად, სახლში ჩემთან, შენი გოგლა".

თბილი, მგრძნობიარე ლექსით გამოვიდა ძია გოგლა მამაჩემის დაბადების სამოცი წლის იუბილეზე, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა ომახიანად, რიხიანად, როგორც იცოდა ხოლმე:

შენ ალაზნის ბერმუხავ,
ბერო და მაინც მაგარო,
ლექსის მეზვრეო, მერთვლეო,
ნაღვაწო, ნაამაგარო!
ძველი მუხების ნერგი ხარ
ყომბორის ტევრში ჩარგული,
შენ გზრდიდა ალაზნის ჩანგი,
ვაჟას ჩარგლური ჩანგური!

1966 წლის 2 მაისს ძია გოგლა ჩვენთან მოვიდა. მაშინ მახაბლის ქუჩაზე ვცხოვრობდით. მამას ძია გოგლას მოსვლა რატომღაც განსაკუთრებულად გაუხარდა. ეხვეოდა, გვერდიდან არ იცილებდა, ალბათ გრძნობდა, რომ ეს იყო ძია გოგლას უკანასკნელი ნახვა. ღამის პირველ საათამდე სუფრასთან ისხდნენ, მუსაიფობდნენ, ბევრი რამე გაიხსენეს... ძია გოგლა ისეთ კარგ გუნებაზე იყო, წასვლა აღარ უნდოდა. ბოლოს დაილალა, მოიწყინა, მამას შესჩივლა: „რაღაც ამ ბოლო დროს თავს კარგად ველარ ვგრძნობ, ის აღარ ვარ, რაც ვიყავ, ალბად სიბერემ მიწია".

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ ძია გოგლა ჩვენთან აღარ მოსულა, მამაჩემი ჯუგაანში იყო, იქ გაიგო მისი ავადმყოფობა, წუხდა, განიცდიდა. როგორც კი გათენდებოდა, მამას პირველი სიტყვა იყო — ნეტავი გოგლა როგორ არისო, და ამბის გასაგებად ტელეფონით თბილისში რეკავდა.

ძია გოგლას გარდაცვალების დღეს, გათენებისას, მამა ლოგინიდან წამოიჭრა და მითხრა: ცუდი სიზმარი ვნახე გოგლაზე, ზღაპრული რაშით ჩაიქროლა, მე მეძახდა, მისმა ძახილმა გამომაღვიძაო. მამა ჩაფიქრდა, ბოლოს სთქვა: ეს კარგის მომასწავებელი არ არისო...

1966 წლის 14 აგვისტოს ძია გოგლას დაკრძალვის მიტინგზე მამაჩემი თვალზე ცრემლმორეული უკანასკნელად გამოეთხოვა თავის უმცროს ძმას:

„დამწუხრებული ვდგავარ შენი ნეშტის წინ. მინდა შემოგძახო, როგორც შემოგძახებდნენ ხოლმე ტიციანი და პაოლო: ლეონიძე, კოხტა ბიჭო, შენ გენაცვალეო! ველარ შევხვდებით, ჩემო გოგლა, ერთმანეთს და როგორც ილიამ უსაყვედურა ბუნებას ბარათაშვილის საფლავზე, მეც ვიმეორებ ილიას სიტყვებს: — ულვთო იყო შენი სიკვდილი!"

1970 წელს, როდესაც ძია გოგლას სამოცდაათი წელი შეუსრულდა, მამამ ლექსი უძღვნა:

მაღალ ქედისთვის პატივმიცია!
სად შეგხვედრილვარ, უმალ მიცვნია!
დღესაც ძმად ჩემდა განაფიცია,
ლექსთა ჯარითაც გამომიცდია.
იყო დრო, ჩვენთვის სიამე ჰქონდა,
თვით გადავიდა უკვდავებაში,
ხალხს დაუტოვა, გულში რაც ჰქონდა!
როცა ვარ მარტო და სევდას ვიქრობ,
ის მაგონდება და მასზე ვფიქრობ.
ხან მთაწმინდაზე ავდივარ დილით,
ცივ სამარეზე ვალაგებ ვარდებს;
ამით მე მხოლოდ თავს ვინუგეშებ,
თორემ ყვავილი მას რაღას არგებს?

სიცოცხლის ბოლო დღემდე მამაჩემი თითქმის ყოველდღე იხსენებდა ძია გოგლას და იტყოდა ხოლმე: „ეჰ, ჩემო გოგლა, ულვთო იყო შენი სიკვდილი!"

**ლატავრა შანშიაშვილი**

## საუბარი ახალ თარგმანებზე

# შოტლანდიური პოეზია ქართულად

### ციალა თოფურიძე

„მთარგმნელს რომ ვამბობ, მე ვგულისხმობ ჭეშმარიტ მთარგმნელს“.
გევინ დუგლასი — „სიძნელენი მთარგმნელობისა“.

ქართულ „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკას“ გასულ წელს შეემატა კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ტომი — „შოტლანდიური პოეზია“, რომელიც შეადგინა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო თამარ ერისთავმა, ამ კრებულის უმეტესი ნაწილიც მანვე თარგმნა. წიგნის რედაქტორია ლია იმერლიშვილი.

შოტლანდიურ პოეზიას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მისი ძირები უძველესი, უხსოვარი დროის სიღრმეებში იკარგება. იგი უაღრესად ლოკალური და ეროვნულია, მაგრამ ამავე დროს უაღრესად ფართო და ზოგადადამიანური. მისთვისაც დამახასიათებელია მსოფლიოს კლასიკური პოეტური მემკვიდრეობის ნიშანდობლივი თემები და მოტივები: მეგობრობა და სიყვარული, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემები, პატრიოტიზმი და სამშობლოსათვის გმირული თავგანწირვა, ბუნების მშვენება თუ პასტორალური იდილია, მედიტაციები შემოქმედებითი პროცესის სირთულეზე, შემოქმედის ბედსა და ხასიათზე; მძაფრი სოციალური თემატიკა, ხალხთა სიდუხჭირის ჩვენება, მეფე-ბატონთა, ფეოდალთა და ეკლესიის მსახურთა მხილება, ბურჟუაზიული მორალისა და ოქროს მონური მორჩილების დაცინვა, პოლიტიკოსთა და სახელმწიფო მმართველობის, ბიუროკრატიზმის, მლიქვნელობის დაგმობა, მაღალჰუმანურობის ქადაგება, დემოკრატიული სულისკვეთება და ა. შ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შოტლანდიური პოეზიის ღრმა ხალხური საწყისები, რომლებიც ასაზრდოებენ მას დემოკრატიულობით, სიცოცხლის სიყვარულით, ცხოველმყოფელობითა და მომავლის რწმენით.

შოტლანდიური პოეზია უაღრესად თავისებურია, მაგრამ არა ერთფეროვანი, მისთვის უცხოა ჟანრობრივი და მხატვრული ერთფეროვნება, პირიქით, მასში გვხვდება მითიურ-ლეგენდური და ამავე დროს ყოველდღიური, ყოფითი სურათები, ფანტასტიკური და რეალური მხატვრული სახეები, ლირიკული სიმღერები, ბალადები და იგავ-არაკები, ყოფითი ხასიათის სატირული და იუმორული ლექსები, საკარო მანერული პოეზია და ხალხური ხალასი ლექსი, თითქოს უხეში, მაგრამ უშუალო, უჩვეულო, თვითმყოფადი. შოტლანდიური პოეზია განთქმულია პოეტური აზროვნების სიმდიდრით, ორიგინალობით, განუმეორებლობით.

შოტლანდიელი ხალხის უდრეკი ეროვნული სული მთელი ძალით სწორედ პოეზიაში გამოვლინდა. ამ მრავალტანჯული ერის ისტორია — ეს არის ინგლისის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ დაუსრულებელი ბრძოლა; მართალია, ინგლისის ბატონობიდან შოტლანდიამ თავი ვერ დააღწია, სამაგიეროდ მასზე გაბატონებულ ქვეყანას ის დღემდე უპირისპირდება პოეზიის დამოუკიდებლობით, გამძაფრებული ეროვნული გრძნობით. ამიტომ შოტლანდიურ პოეზიაში დღესაც მთავარი ადგილი ეთმობა თვითმყოფად ეროვნულ პოეტურ ტრადიციათა შენარჩუნებასა და შემდგომ განვითარებას. შოტლანდიელ ხალხს, მათ სანაქებო პოეტებს ის გარემოებაც ვერ აბრკოლებს, რომ შოტლანდიას ერთიანი ეროვნული სალიტერატურო ენაც არ გააჩნია. სახელმწიფო ენად ინგლისური ენაა მიჩნეული, ხოლო ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ხალხი კვლავ სხვადასხვა დიალექტზე მეტყველებს, ზოგჯერ ერთი მეორისათვის გაუგებარ დიალექტებზე. მაგალითად, მთიან ჩრდილოეთ შოტლანდიის — „ჰაილენდის“ ენა, გელური ენა სამხრეთ შოტლანდიელებისათვის — „ლოულენდელებისათვის“ გაუგებარია. ენობრივი დაქსაქსულობის მიუხედავად, შოტლანდიურ პოეზიას ერთიანი სულისკვეთება აერთიანებს, მეტიც, ერთ კუთხეს მეორე კუთხის ენა პოეზიის წყალობით ესმის, ინგლისელებიც კი იძულებულნი არიან შეისწავლონ ეს დიალექტები, შოტლანდიელი პოეტები გამოსცენ სპეციალური ლექსიკონებით.

მაგრამ ენობრივი ბარიერი ვერ აღუდგა შოტლანდიური პოეზიის ძალას. ის თავისი დიალექტებითურთ იჭრება და გავლენას ახდენს ინგლისის ლიტერატურულ სამყაროზე. ქართველ მთარგმნელთა სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ ამ ენობრივმა სხვადასხვაობამ ისინიც ვერ დააბრკოლა, იმდენად ძლიერი, მიმზიდველი და ახლობელი აღმოჩნდა შოტლანდიური პოეზია.

ჩვენდა საბედნიეროდ ამ პატარა ქვეყნის დიდი პოეზია ქართველმა მთარგმნელებმა ხელით არ ჩაუგდეს შემთხვევით მთარგმნელებს. შოტლანდიური პოეზიის თარგმნას მარტოოდენ რითმების შეკოწიწება და ლექსის გამართვა ვერ უშველიდა. მისი თავისებურება, ხატოვანება, ლექსთწყობა ქართველი მთარგმნელისაგან მოითხოვდა არა მარტო დედნისა და მშობლიური ენების კარგ ცოდნასა და ვერსიფიკატორობის უნარს, არამედ ორიგინალთა აზრობრივ და მხატვრული სტილის წვდომასა და ქართულ ენაზე პოეტურ ხორცშესხმას. ეს მაღალი მისია შეასრულეს ქართველმა მთარგმნელებმა.

თამარ ერისთავი, ცნობილი პოეტი და ინგლისურენოვანი პოეზიის მთარგმნელი, მოსალოდნელი იყო წიგნის შესავალში მოიხსენიებდა კრებულის მთარგმნელთა წინაშე წამოჭრილ სიძნელეებს, მაგრამ მისთვის ჩვეული თავმდაბლობით ამ საკითხს გვერდს უვლის. სამაგიეროდ ამ კითხვაზე პასუხს მკითხველი პოულობს მის მიერვე თარგმნილ, ამ კრებულში მოთავსებულ XV საუკუნის დამლევისა და XVI საუკუნის დასაწყისის პოეტის გევინ დუგლასის პოეტურ ქმნილებაში თარგმანის თეორიასა და ხელოვნებაზე — „სიძნელენი მთარგმნელობისა“, საიდანაც ადვილი მისახვედრია, რა თავდადებული შემოქმედებითი ძიება დაჭირდა მთარგმნელთა ჯგუფს და ყველაზე მეტად თამარ ერისთავს, რომ ქართველ მკითხველს მიეღო საფუძვლიანად შედგენილი და თარგმნილი შოტლანდიური პოეზიის ანთოლოგია.

ეს კრებული ერთბაშად არ შექმნილა. მას წინ უძღოდა შოტლანდიური პოეზიის თარგმნის ტრადიციის დამკვიდრება და განვითარება საქართველოში. მისი პოპულარიზაცია და თარგმნა უმეტესად ომამდელ პერიოდში დაიწყო, ბრიტანეთის ქვეყნების ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ერეკლე ტატიშვილის თაოსნობით. შოტლანდიური პოეზიის თარგმნას ქართულ ენაზე პირველად გზა გაუხსნა მისმა სტუდენტმა გივი გაჩეჩილაძემ, მომავალში ინგლისური პოეზიის ცნობილმა მთარგმნელმა, ლიტერატურათმცოდნემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა. შოტლანდიური პოეზიის კრებულის შედგენაზე ჯერ კიდევ ნაადრევი იყო ლაპარაკი, როცა გივი გაჩეჩილაძეს უკვე ჰქონდა თარგმნილი და გამოქვეყნებული ბევრი მნიშვნელოვანი ნიმუში: ხალხური ბალადები „ედვარდ“, „ადე, ჩარაზე კარი“, „სერ პატრიკ სპენსი“, ბერნსის „გული მთებისკენ მიიწევს“, უოლტერ სკოტის „ღამე ივანობისა“, „სამშობლო“, „საკრავო დონუელისა“, რობერტ ლუის სტივენსონის „მანანის ლუდი“, ალან კანინგჰემის „სველი სივრცე და ზღვის ტალღა“, რომლებიც ამჟამად შეტანილია კრებულში და ამშვენებს მას ქართული ლექსის ბუნებრივი სილაღით:

„საკრავო დონუელისა, შენ სალამურო ხმიანო, კვლავ გაალვიძე შენი ხმა, არავინ დააგვიანო. შეჰყარე აზნაურები და თემის ხალხი ულევი. გამოდით! ყველა გამოდით საომრად მოკაზმულები!“ (გვ. 305).

ასე უშუალოდ, ბუნებრივად გაისმის XIX საუკუნის დასაწყისის ცნობილი რომანტიკოსის უოლტერ სკოტის ომხიანი მოწოდება სამშობლოს მტრის წინააღმდეგ გივი გაჩეჩილაძის თარგმანში.

თამარ ერისთავი ერეკლე ტატიშვილისა და გივი გაჩეჩილაძის მიერ დაწყებული საქმის ყველაზე მეტად თავდადებული განმგრძობი აღმოჩნდა. ამის დამადასტურებელია შემდეგი ფრიად დამახასიათებელი ეპიზოდი: თამარ ერისთავი უკვე კარგად ცნობილი იყო, როგორც ინგლისური და შოტლანდიური პოეზიის ნიჭიერი მთარგმნელი, მის მიერ თარგმნილი რობერტ ბერნსის ლირიკული ლექსები და ბალადები ქართულად ისე უშუალოდ ახმიანდა, რომ ჩვენმა მკითხველმა იმთავითვე ღვიძლი ლექსივით შეითვისა და შეიყვარა.

შოტლანდიური პოეზიის ქართული ერთტომეული — ეს არის თამარ ერისთავის მიერ დიდი დაკვირვებით, ცოდნითა და მაღალი პოეტური გემოვნებით შედგენილი ანთოლოგია, რომელიც მოიცავს არა მარტო შოტლანდიური პოეზიის განვითარების ეტაპებს, დაწყებული ადრე შუა საუკუნეებიდან, ვიდრე დღევანდელი დღის ჩათვლით, არამედ ამასთან ერთად არეკლავს პოეტურ მრავალსახეობას, მრავალმოტივიანობას, განწყობილებათა სხვადასხვაობას, სტილისტურ და ენობრივ მრავალფეროვნებას. თამარ ერისთავმა თარგმნა კრებულის ძირითადი ნაწილი. თუ არაფერს ვიტყვით მის მიერ ადრე თარგმნილ რობერტ ბერნსის ლირიკაზე, რომელიც ამ კრებულშიცაა წარმოდგენილი, ის კვლავ თანაბარი ოსტატობით თარგმნის, როგორც ძველი პერიოდის, ისე ახალი პერიოდის შოტლანდიელ პოეტებს, თანაბრად წვდება და გადმოსცემს მათ პოეტურ სამყაროსა და პოეტურ ენას. მაგალითად, XV საუკუნის პოეტის რობერტ ჰენრისონის „რობინი და მეჭაინი“, რომელიც ბრიტანული პოეზიის პირველ პასტორალურ ნაწარმოებად ითვლება, მის თარგმანში ინარჩუნებს ორიგინალის ადეკვატურ სიმსუბუქეს, სილაღეს, იდილიურ განწყობილებას:

მწვანე გორაკზე იჯდა რობინი ცხვარსა მწყემსავდა მშვიდად; — რობინ, დავიწვი შენი ლოდინით, რობინ, ალერსი მინდა, — ამბობს მეჭაინ, — გულზე ლოდივით მე სიყვარული მაწევს, სამი წელია ვდნები ლოდინით, ბიჭო, ნუ მომკლავ ასე!

მეოცე საუკუნის ცნობილი შოტლანდიელი პოეტის ჰიუ მაკდაიერმიდის რთულ პოეტურ სახეებს, რიტმს, მუსიკალობას, განწყობილებას თამარ ერისთავმა ასევე აშკარად დიდი პოეტური გემოვნებით მოუძებნა შესატყვისი ხმოვანება. ქართულ ლექსშიაც ამაღელვებელია სამშობლოს ბედუკუღმართობაზე მაკდაიერმიდის ჩივილი:

გულზე მაწევს ზამთარივით მძიმედ შოტლანდიის ბედ-იღბალის ტვირთი, გაზაფხული არ იძლევა იმედს და ზამთარი ისე ნელა მიდის, ისე ნელა, ისე ნებანება, გეგონება — სამუდამოდ რჩება.

ხოლო მაკდაიერმიდის ლექსი „ფურ-ირმების არვე“ თარგმნის შესანიშნავ ნიმუშად მიმაჩნია:

არ ურევია ფურ-ირემი ირმის არვეში, რომ არ უცემდეს მკერდში გული მთელი არვესი. ერთის თვალები რომ გიყურებს მიწავ, ალერსით, ეს, მოალერსე თვალებია მთელი არვესი.

ჩანს კრებულის მთარგმნელები საკუთარი პოეტური განწყობილებით ირჩევდნენ სათარგმნ მასალას. პოეტი მურმან ლებანიძე მხოლოდ ბერნსის ლექსებით შემოიფარგლა. ბერნსის ლირიკის შთაგონებული თაყვანისმცემლისათვის საკმარისი აღმოჩნდა ბერნსის ლექსების პწკარედები, რომ ქართულ ენაზე აემეტყველებინა დიდი შოტლანდიელი მგოსნის სიმღერები, რიტმის მოძრაობა, მეტრიკული კადანსები, მიახლოვებოდა მის განუმეორებელ ლექსის ხმოვანებას. კანტატა „მხიარული მათხოვრები“ მრავალხმიანი და ამავე დროს ერთიანი რიტმული ქსოვილისაგან შედგება. მურმან ლებანიძემ უაღრესად მახვილი პოეტური სმენა გამოავლინა, რათა ამ რთული პოეტური ქმნილების მოდულაციებისათვის ქართული პოეტური შესატყვისები მიესადაგებინა. ჩანს ბერნსის პოეტურმა სატირამ და სხარტმა იუმორმა მოხიბლა ფილიპე ბერიძე და მოსე ქარჩავა, რომელთა გატაცებით თარგმნილი ბერნსის თითო ლექსი შემდგენელმა სრულიად მართებულად შეიტანა შოტლანდიური პოეზიის კრებულში.

ანთოლოგიაში წარმოდგენილია ციცინო გამყრელიძის მიერ თარგმნილი ორი პოეტი. XVIII საუკუნის ცნობილი სენტიმენტალისტის ჯეიმზ მაკფერსონის „ოსიანის სიმღერებიდან“ დრამატული ეპიზოდები კარგად არის თარგმნილი. იმედია, ციცინო გამყრელიძე მომავალში ქართველ მკითხველს გააცნობს „ოსიანის სიმღერების“ მთელ კრებულს. ასევე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს უილიამ დრამონდის ლექსები, რომლებიც მალიკო ხელაშვილს უთარგმნია.

შოტლანდიური პოეზიის ყოველ მთარგმნელს და ამ წიგნის რედაქტორსაც ლია იმერლიშვილს გაბედულად შეუძლიათ საკუთარ თავზე თქვან გევინ დუგლასის სიტყვები ლექსიდან „სიძნელენი მთარგმნელობისა“:

„ბევრი ვეწვალე, ცდა და შრომა არ დამიკლია, და ჩვენი ენის ყველა სიღრმე გამოვიკვლიე“.

მართლაც, თარგმანებში იგრძნობა მძაფრი სურვილი ქართული ენისა და ლექსის „ყველა სიღრმის გამოკვლევისა“. ბევრ შემთხვევაში მიგნებულია დედანთან შესაბამისი ახალი რიტმული წყობა, ახალი რიტმული კონსტრუქციები იმგვარად, რომ ქართული ლექსის ბუნებრიობა არ იწირება.

მთარგმნელები კარგად იცავენ თარგმნის მთავარ პრინციპს — არც დედნის ტყვეობაში ბრმად ყოფნა და არც ტექსტის მეტისმეტად გაქართულება.

„შოტლანდიური პოეზიის“ მეცნიერული აპარატი, კომენტარები და შესავალი წერილი ნათელყოფს, რომ მათი ავტორი თამარ ერისთავი არა მარტო კარგი მთარგმნელი ყოფილა, არამედ ინგლისური და შოტლანდიური ლიტერატურების გამოცდილი, დაკვირვებული მკვლევარიც. შესავალ წერილში მოცემულია ისტორიული ექსკურსი, რითაც მკითხველი კარგად ეცნობა შოტლანდიის წარსულსა და აწმყოს, მის რთულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას. წინასიტყვაობის ავტორი დიდ ყურადღებას აქცევს შოტლანდიის ენის გეოგრაფიისა და ისტორიის კვლევას და ამ ფონზე განმარტავს ეროვნული პოეზიის განვითარების ეტაპებსა და სპეციფიკას, ყოველი პოეტის, ყოველი პოეტური ქმნილების ადგილსა და მნიშვნელობას. კომენტარებში იმდენად ზედმიწევნით, ლაკონიურადაა განსაზღვრული ყოველი უცხო ცნება, ფაქტი თუ ტერმინი, იმდენად კარგადაა გათვალისწინებული და მოზომილი, რისი განმარტება ესაჭიროება ქართველ მკითხველს, რომ, სავარაუდოა, ამ კრებულის კითხვისას მას არ მოუწევს ლექსიკონებსა და ცნობარებში ქექვა. ოღონდ უნდა აღინიშნოს, პოეტთა დაბადება-გარდაცვალების თარიღები მოცემულია შესავალშიაც და სარჩევშიაც. ალბათ არ იყო საჭირო მათი განმეორება. ამას ერთვის ტექნიკური უზუსტობაც, ხშირად თარიღული მონაცემები შესავალში და სარჩევში ერთმანეთს არ ემთხვევა.

თარგმანებში ონომასტიკის თანამედროვე მოთხოვნილებები თანმიმდევრულადაა დაცული, საკუთარი სახელები გადმოტანილია ფონეტიკური, ტრანსკრიფციული პრინციპის თანახმად, მაგრამ, ჩანს, ზოგი სახელი, როგორც, მაგალითად, „დუგლასი“, „მაკბეტი“, ტრადიციულად იმდენად დამკვიდრდა ქართულ ენაში, რომ მთარგმნელები მათ შეცვლასა და ტრანსკრიფციული ნორმებით გადმოცემას მოერიდნენ.

დამაფიქრებელია ენდრიუ ვინტაუნელის გალექსილი მატიანეს სათაურის — „ორიგინალური ქრონიკა“ — თარგმნის საკითხი. სათაურში ინგლისური სიტყვის „original“ შესატყვისად თამარ ერისთავმა აირჩია მისი ერთ-ერთი ქართული მნიშვნელობა „ორიგინალური“. ამით მკითხველს ხომ არ შეექმნება იმგვარი შთაბეჭდილება, თითქოს ავტორი „ორიგინალურს“ აქ ხმარობდეს მხოლოდ „თავისებურის“, „გამორჩეულის“, „განსაკუთრებულის“ მნიშვნელობით. იქნებ შოტლანდიელი პოეტი გულისხმობს „პირველადს“, „ახალს“ ან „ნამდვილს“, „ჭეშმარიტს“, „უტყუარს“? კომენტატორი თავად აღნიშნავს: „ენდრიუ ვინტაუნელის „ქრონიკა“ პირველი წყაროა, სადაც იხსენიება მაკბეტის შეხვედრა გრძნეულ დებთან“ (გვ. 376). ამიტომაც მოსალოდნელია, რომ მომავალში ქართველი მკვლევარები, შექსპიროლოგები, მკითხველებიც არაერთგზის მოიხსენიებენ ვინტაუნელის გალექსილ ქრონიკას, მის სათაურსაც და მით უფრო გვმართებს მისი თარგმნის სისწორეზე ყურადღების მეტად გამახვილება.

შოტლანდიური პოეზიის ქართულად თარგმნილ კრებულში ორი, სამი თაობაც კი მონაწილეობს. ყოველ ლექსს თავისი თარგმნის ისტორია აქვს, ყოველ მთარგმნელს ინგლისურენოვანი პოეზიის ქართულად თარგმნის საქმეში გარკვეული დამსახურება მიუძღვის. ეს წიგნი, ეს კრებული თავისებურად საქართველოში ინგლისურენოვანი პოეზიის თარგმნის ტრადიციისა და მისი აღმავლობის ანარეკლია, საქართველოში ინგლისურენოვანი პოეზიის თარგმნის ისტორიაა. ალბათ მომავალში მას ამ თვალსაზრისითაც განიხილავენ ქართულ-ინგლისურ, ქართულ-შოტლანდიურ ლიტერატურულ ურთიერთობათა შემსწავლელნი.

დასანანია, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი პოეზიის კრებული მისაწვდომია მხოლოდ მათთვის, ვინც ხელმოწერით ღებულობს ქართულ „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკას“. აქვე გულისტკივილით უნდა აღინიშნოს მისი გამოცემის დაბალი ტექნიკური ხარისხი. სასურველია „შოტლანდიური პოეზიის“ ხელახლა გამოცემა დიდი ტირაჟით ფართო მკითხველთათვის.

შოტლანდიური პოეზიიდან ჯერ კიდევ ბევრი პოეტური ქმნილება დარჩა უთარგმნელი. მომავალ მუშაობას ალბათ მრავალმხრივ გაადვილებს თამარ ერისთავის, როგორც მთარგმნელისა და როგორც შემდგენელის გამოცდილება.

# დიდი „გარეჯობა“

18 მაისს გარეჯის მონასტრის შემოგარენში თითქმის მთელი საქართველო მოვიდა. ზეიმზე გვეწვივნენ მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებიც.

„გარეჯობა“ — ეს უძველესი დღესასწაული, ახლა სულ სხვა იერით, სულ სხვა შინაარსით არის დამშვენებული. გარეჯობა მშრომელი ხალხის ზეიმია, შრომის დიდებაა, დღესასწაულის ფორმით გამოხატული.

რა თქმა უნდა, ამ დიდ ზეიმში უპირველესი როლი ეკუთვნით მასპინძლებს, საგარეჯოს რაიონის მშრომელებს, მათ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ხელმძღვანელებს. ეს დღესასწაული იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ თავისებური ეთნოგრაფიული ელფერიც დაჰკრავს. საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებს და მეურნეობებს სტუმართა პატივსაცემად რა არ გაუკეთებიათ: ერთგან შოთის პურებს თონიდან ამოყრა იტაცებს თვალს, თიხის ოსტატები მიწას ამეტყველებდნენ, იქ რვალი და რკინა შესჭიდებია ერთმანეთს — სამჭედლოა, იქით ხალხური სანახაობები და სპორტული შეჯიბრებებია გამართული, ქართული სამოსში გამოწყობილი ქალიშვილები და ქაბუკები ეპატიჟებიან მისულთ, რომ სუფრას დაუსხდნენ.

ჩვენმა ხალხმა იცის სახელოვან მამულიშვილთა პატივისცემა და მათი ღვაწლის დაფასება. რამდენ დიდ ქართველს უმოღვაწნია აქ და ქვეყნისათვის დაუდგამს ნათელი სვეტი. სისხლის ნიაღვარიც უნახავს გარეჯის ბებერ კედლებს. სიმღერად აღერდა ამ უძველეს მიწაზე ვერტმფრენიდან ხალხში მიმოფანტული ფურცლები — დიდი ქართველი პოეტის, ამ რაიონის მკვიდრის გიორგი ლეონიძის სიტყვებით: „წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე ერს არა აქვს ისტორია, მიეცით გარეჯი და ბრწყინვალე ისტორია ექნება“.

„გარეჯობის“ ოფიციალურ გახსნამდე ხალხი ათვალიერებდა მონასტრის კომპლექსს.

აქ იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც დგანან ფოლადის სადნობ ღუმელებთან, დარსა და ავდარში იბრძვიან უხვი მოსავლის მისაღებად, მეცნიერები, რომლებიც თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს აკვლევენ. მწერლები, რომლებიც ნაწარმოებებში ადიდებდნენ მშრომელი კაცის მარჯვენას.

გარეჯის მონასტრის შემოგარენი მარტო თვალდასადგმელი სანახაობა როდია, აქ ამჟამად მიმდინარეობს დიდი არქეოლოგიური სამუშაოები, რომლებიც ფარდას ხდიან ჯერ კიდევ უცნობ ისტორიულ ფაქტებს.

გარეჯობის გახსნისას სიტყვა წარმოთქვა გარეჯის სახალხო უნივერსიტეტის რექტორმა პოეტმა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა. მან უპირველეს ყოვლისა მოიხსენია ამაგდარი ადამიანი, ამავე უნივერსიტეტის პირველი საპატიო რექტორი, აწ განსვენებული აკადემიკოსი ვასილ გულისაშვილი, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო გარეჯის კულტურის ამ კერას. შემდეგ საზეიმოდ გამოაცხადა, რომ გარეჯის სახალხო უნივერსიტეტის საპატიო რექტორად არჩეულია ცნობილი ხუროთმოძღვარი არჩილ ქურდიანი.

სცენა ეთმობა თბილისის უნივერსიტეტის მოცეკვავეთა ანსამბლს, საგარეჯოს მომღერალთა გუნდს, თბილისის გლდანის სახელმწიფო დრამატული თეატრის ახალგაზრდა კოლექტივმა წარმოადგინა თავისი პირველი დადგმა თამარ ჩხეიძის „თეიმური“.

გავა ალბათ რამდენიმე წელი და გარეჯის უდაბნო იქცევა წალკოტად. გაშენდება ბაღ-ვენახები, ახალი ტიპის სოფლები, ბოლო მოეღება გვალვას, რადგან აქ არხებით იჩქეფებს მტკვრის მაცოცხლებელი წყალი. არა, ეს მარტო ოცნება არ არის, ამ მიზანდასახულობისაკენ გადაიდგა კიდეც პრაქტიკული ნაბიჯები, ამის მოთავენი არიან საგარეჯოელი კომუნისტები და კომკავშირლები, რომელთაც მხარში უდგანან რაიონის მშრომელები...

დიდ სახალხო დღესასწაულს ესწრებოდნენ ამხანაგები: ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, ჯ. ი. პატიაშვილი, რომელთაც შემოიარეს გარეჯის მიდამოები, გაეცნენ ძეგლების აღდგენით სამუშაოებს, დაათვალიერეს ეთნოგრაფიული მუზეუმი.

„გარეჯობა“ — ჭეშმარიტად დიდი სახალხო დღესასწაული — გვიანობამდე გრძელდებოდა.

**გივი ნათენაძე**





# გიორგი ლეონიძის ერთტომეული




გიორგი ლეონიძის საიუბილეო დღეებში გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა პოეტის ერთტომეული.

კრებულს დართული აქვს გრიგოლ აბაშიძის წინასიტყვაობა.

წიგნი შეადგინეს პოეტის ქალიშვილებმა თინათინ და ნესტან ლეონიძეებმა, რედაქტორია გრიგოლ აბაშიძე, გამომცემლობის რედაქტორი — ციალა ქართსანიძე, მხატვარი — კარლო ფაჩულია.

ლამაზად გაფორმებული გიორგი ლეონიძის ახალი ერთტომეული მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული.

# ნიკოლოზ ბარათაშვილი უზბეკურად




ტაშკენტში გაფურ გულიამის სახელობის ლიტერატურისა და ხელოვნების გამომცემლობამ უზბეკურ ენაზე გამოსცა დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის „რჩეული“.

წიგნში შესულია პოეტის ლექსები და პოემა „ბედი ქართლისა“. თარგმანი შესრულებულია შუხრატის მიერ. მასვე ეკუთვნის ვრცელი წინასიტყვაობა.

# ჩვენი მეგობარი დილარა

დილარა ალიევას, აზერბაიჯანულ-ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარს და მთარგმნელს, ამ დარგში დიდი დამსახურებისათვის საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება მიენიჭა. ეს საპატიო ჯილდო რამდენიმე დღის წინ მას გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. პავლე გილაშვილმა.

დილარა ალიევამ დიდი მადლობა გადაუხადა საქართველოს მთავრობას მისი „მცირედი ღვაწლის ესოდენ დიდი დაფასებისათვის“ და აღნიშნა, რომ „აზერბაიჯანულ-ქართული ლიტერატურის ისტორიის კვლევა და ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო ნიმუშების თარგმნა ისეთი დიდი სიამოვნება და შვებაა ჩემთვის, იმდენად დიდი სიხარულის მომნიჭებელი, რომ ამ საქმიანობას თავისთავად ჩემი ცხოვრების ჯილდოს ვუწოდებ“.

დილარა ხომ თბილისში დაიბადა, ბავშვობა ქალაქის უძველეს უბანში — ორთაჭალაში გაატარა. და აქაური ქართული ვერც დრომ, ვერც ქალაქიდან გადასვლამ ვერ დაავიწყა. შვიდი კლასი რომ დაამთავრა, მათი ოჯახი საცხოვრებლად ბაქოში გადავიდა. ბაქოს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დილარა თბილისში გამოგზავნეს ასპირანტურაში. მკვლევარ ლევან ასათიანის ხელმძღვანელობით რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში გაიარა ასპირანტურის კურსი. დილარა ყოველთვის დიდი მადლიერების გრძნობით აღნიშნავს, რომ „ბატონი ლევანი და მთელი მისი ოჯახი, სადაც ძალიან ხშირად დადიოდა, მშობლიურ მზრუნველობას არ აკლებდნენ. არასოდეს სხვა ენაზე არ ელაპარაკებოდნენ, გარდა ქართულისა“.

ასპირანტურის წლებში მის მეცნიერულ მუშაობას თვალყურს ადევნებდნენ და დიდ დახმარებას უწევდნენ აკადემიკოსები კ. კეკელიძე და ალ. ბარამიძე. მათ კიდევ უფრო გაუღვივეს აზერბაიჯანელ ლიტერატორს მოძმე ერის ლიტერატურისადმი სიყვარული და შეასწავლეს ლიტერატურულ ურთიერთობათა შორეული ფესვების დაძებნისა და აღმოჩენის გზები.

„ასპირანტურაში სწავლების ოთხი წელი, — იგონებს დ. ალიევა, — ჩემთვის იყო განუმეორებელი სკოლა, რომელიც ისე მძაფრად დააჩნდა ჩემს სულს, რომ ვერავითარმა სიშორემ და მომავალმა საქმიანობამ ვერ წაშალა“.

დილარამ საკანდიდატო დისერტაცია თბილისში დაიცვა, მშობლიურ ბაქოს დაუბრუნდა და თან გაიყოლა ქართული ლიტერატურისა და ქართველი ხალხის დიდი სიყვარული. მუშაობა დაიწყო ნიზამის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში, დაოჯახდა, შეეძინა ორი ვაჟი, რომელთაგან უფროსს ქართველი ხალხის სიყვარულით გიორგი დაარქვა. „ჩემს მეუღლესა და ბავშვებს თითქმის ჩემნაირად შევაყვარე საქართველო, ქართული ლიტერატურა, — სიამაყით ამბობს დილარა, — ბაქოში ჩემი მეგობრები გაქართველებულ აზერბაიჯანელს მეძახიან და ჩემი შვილები ხუმრობით ნახევრად ქართველობას იჩემებენ.

დილარა ალიევამ აზერბაიჯანულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობას მიუძღვნა არა ერთი გამოკვლევა, წერილი, სტატია. ჯერ კიდევ 1958 წელს თბილისში გამოაქვეყნა მონოგრაფია ამ თემაზე. მეცნიერმა ქალმა იცის: რაც უფრო ღრმაა ამ ორი ერის ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიის ფესვები, მით უფრო მეტი მუშაობაა საჭირო. დილარას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი საკმაოდ ფლობს ძველ ქართულ ენასა და ლიტერატურას, რაც დიდად დაეხმარა სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობისას. მისი თემა გახლავთ „ნიზამი ქართულ ლიტერატურაში“.

დ. ალიევამ თავდადებული ძიების შედეგად მიაკვლია ვეფხისტყაოსნის აჰმედ ჯავადისეულ პირველ აზერბაიჯანულ თარგმანს, შეუდარა ქართულ ორიგინალს, გაურკვეველი თუ წაშლილი ადგილები აღადგინა და ვრცელი წინასიტყვაობითა და კომენტარებით გამოსცა. ეს დიდი ლიტერატურული მოვლენა იყო, როგორც ქართველი, ასევე აზერბაიჯანელი ხალხის ცხოვრებაში.

დილარა ალიევამ ქართული ლიტერატურის დიდი სიყვარული მარტო სამეცნიერო მოღვაწეობით როდი გამოხატა. მან აზერბაიჯანული ლიტერატურა გაამდიდრა შესანიშნავი მხატვრული თარგმანებით. მისი პროზაული ენა სადა, ხალხური, დახვეწილი და ხატოვანია. მიუხედავად იმისა, რომ დილარა რამდენიმე ენას თავისუფლად ფლობს — თურქულს, სპარსულს, არაბულს, რუსულს, ინგლისურს — იგი მხოლოდ ქართულიდან თარგმნის, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, „ქართული ენა, ლიტერატურა, ქართველი ერის წარსული და აწმყო, მისი ტკივილი და სიხარული ისევე მახლობელი და საყვარელია მისთვის, როგორც მშობლიური აზერბაიჯანული“.

მან თარგმნა და გამოსცა ნ. დუმბაძის, ა. სულაკაურის, გ. ჩიქოვანის, რ. ინანიშვილის, თ. ჭილაძის, გ. ფანჯიკიძისა და სხვა ქართველ პროზაიკოსთა მოთხრობები. მიხეილ ჯავახიშვილის 100 წლისთავის საიუბილეოდ მალე გამოვა დილარას მიერ თარგმნილი მწერლის რჩეული.

დილარა ალიევას მრავალი შემოქმედებითი გეგმა აქვს დასახული, როგორც მეცნიერულ, ასევე მთარგმნელობით სფეროში. ვუსურვოთ დიდი წარმატებები!

**ლეილა ერაძე**

## კოლაუ ნადირაძის შემოქმედებითი საღამო

1980 წლის 26 მაისს, საღამოს 7 საათზე, შრომის წითელი დროშის ორდენოსან კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ეწყობა ცნობილი ქართველი პოეტის

**კოლაუ ნადირაძის**

შემოქმედებითი საღამო.

## „ცისკარი“ №5

გამოვიდა ჟურნალ „ცისკრის“ მეხუთე ნომერი.

ჟურნალი რუბრიკით — „ფაშიზმზე გამარჯვების 35-ე წლისთავი“ — ბეჭდავს აკაკი ვეწაძის წერილს — „ცხრა მაისის დიდი მზე“.

პოეზიის განყოფილება გთავაზობთ თეიმურაზ ჯანგულაშვილის, ვასილ გვეტაძის, ლადო სულაბერიძის, შალვა ამისულაშვილის, გიორგი ქავთარაძის, ვახტანგ გორგანელის, ოლეგ გველესიანის, კოლაუ ნადირაძისა და მურმან ლებანიძის ლექსებს.

პროზის განყოფილება წარმოდგენილია დავით ქვიცარიძის მოთხრობებით, ჯემალ ქირიას რომანით „მარადი მხედარი“ (გაგრძელება), რევაზ მიშველაძისა და თეიმურაზ არჯევანიძის ნოველებით.

„საქართველოს კომკავშირი 60 წლისაა!“ — ამ საიუბილეო თარიღს ეძღვნება მიხეილ ყვარელაშვილის, აკაკი სიხარულიძისა და სიმონ წვერავას წერილები.

რუბრიკა „წერილები“ გთავაზობთ ვლადიმერ ალფენიძის, გურამ ასათიანისა და ბონდო კარტოზიას წერილებს.

ჟურნალი ფერადი ჩანართით წარმოგიდგენთ გოგი თოთიბაძესა და კიმი ტაბატაძეს. ამასთან დაკავშირებით რუბრიკა „ხელოვნება“ ბეჭდავს სამსონ ლეჟავასა და ირინე ტაბატაძის წერილებს.

„იუმორში“ დაბეჭდილია თეიმურაზ გრძელიძის იუმორესკა და შოთა ამირანაშვილის თარგმანი სათაურით — „მწერალთა ღიმილნარევი ცხოვრებისეული ეპიზოდები“.

## „ჭოროხი“ №3

გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის და აჭარის განყოფილების ორგანოს ჟურნალ „ჭოროხის“ მესამე ნომერი.

ჟურნალი იხსნება გალაკტიონ ტაბიძის ლექსით „აჭარელი მფრინავი“.

გამარჯვების 35-ე წლისთავს ეძღვნება სერგო ჯაყელის მოგონება „უკვდავება“, ფრიდონ ხალვაშის „ერთი ლექსის ბიოგრაფია“, შალვა იოსელიანის, მამია ვარშანიძის, იაკობ მელიას ომისდროინდელი ლექსები, ჯემალ ქათამაძის ლირიკული პოემის „წითელი თოვლის“ ნაწყვეტი, ნესტორ მალაზონიას მოგონება „ცხრა მაისი თენდებოდა“, მუხრან კობალაძის ნარკვევი „იპოვა... საკუთარი საფლავი“, იასონ ცერცვაძის წერილი „ისინი ყირიმში იბრძოდნენ“.

ჟურნალში იბეჭდება ნოდარ ჯალაღონიას ლექსები, ნოდარ მოდებაძის რომანის „თეძა“ ერთი თავი. აკაკი წერეთლის დაბადების 140 წლისთავს ეძღვნება გულო კაიკაცრიშვილის სიტყვა, წარმოთქმული პოეტის დაკრძალვაზე. ჟურნალში გამოქვეყნებულია ანზორ ზამბახიძის, ფლორა ხორავას, ავთანდილ დიასამიძის და იოსებ ბექირიშვილის, ალექსანდრე ჩხაიძის, თამაზ სურმანიძის, ნოდარ კახიძის, თეიმურაზ ფანჯიკიძის წერილები.

„ჭოროხს“ აქვს საინფორმაციო განყოფილება „გასულ ორ თვეში“.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია სამძიმარს უცხადებენ მწერალ სიმონ წვერავას ძმის

**აკაკი წვერავას**

გარდაცვალების გამო.

გამოდის პარასკეობით
ფასი 10 კაპ.

ლიტერატურული საქართველო,
რედაქციის მისამართი,
380007, თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13.
ტელეფონები:
რედაქტორის — 99-84-04, პასუხისმგებელი მდივნის — 99-91-89, განყოფილებების — 99-67-10.

მთავარი რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე
სარედაქციო კოლეგია: თ. ბექიშვილი, თ. ბიბილური (პასუხისმგებელი მდივანი), წ. გურაბანიძე, ნ. გურეშიძე, ი. თარბა, რ. ინანიშვილი, ა. კალანდაძე, ი. ნონეშვილი, ჯ. ღვინჯილია, ო. ჩხეიძე; ს. ცაიშვილი, თ. ჭილაძე, ფ. ხალვაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17.
უე 03668